

ადამიანით ვაჭრობის
(ტრეფიკინგის)
წინააღმდეგ ბრძოლის
2019 -2020 წლების
სამოქმედო გეგმის
შესრულების 2-წლიანი
ანგარიში

© ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული
ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო
საკოორდინაციო საბჭო

სარჩევი

შესავალი	4
1. ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის პოლიტიკის განვითარება	8
ამოცანა 1.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით არსებული მექანიზმების დახვეწა	8
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია	11
ამოცანა 2.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ცნობიერების ამაღლება	11
ამოცანა 2.2. ქუჩაში მცხოვრები და ქუჩაში მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირება და არასრულწლოვანთათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება	30
3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა	34
ამოცანა 3.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრების) ეფექტიანი საქმიანობა	34
ამოცანა 3.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება ნებაყოფლობით და უსაფრთხოდ და დაბრუნებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა	36
4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა	37
ამოცანა 4.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიებისათვის პროაქტიული მიდგომების და სხვა უახლესი მეთოდოლოგიების დანერგვა საუკეთესო უცხოური პრაქტიკის გამოყენებით	38
5. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება	45
ამოცანა 5.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეების გამოძიების დახვეწის მიზნით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების პროფესიული განვითარება	45
ამოცანა 5.2. სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება ..	53
ამოცანა 5.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება	53
ამოცანა 5.4 შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება	55
ამოცანა 5.5. საკონსულოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარება	56
ამოცანა 5.6. მედიის წარმომადგენლების პროფესიული განვითარება	57
ამოცანა 5.7. იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება	57

ამოცანა 5.8 იუსტიციის სახლების, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომელთა პროფესიული განვითარება.....	58
ამოცანა 5.9. სამედიცინო სერვისების მიმწოდებლების პროფესიული განვითარება.....	58
ამოცანა 5.10. შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება.....	59
ამოცანა 5.11. საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქართველი სამხედროების პროფესიული განვითარება.....	59
ამოცანა 5.12 ქუჩაში მცხოვრები ან/და ქუჩაში მომუშავე ბავშვთა ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ერთობლივი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება.....	60
ამოცანა 5.13. იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების ეფექტიანი გამოვლენის მიზნით ერთობლივი კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს (შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო) თანამშრომლებისთვის.....	61
6. თანამშრომლობა და შიდა კოორდინაცია	62
ამოცანა 6.1 სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ინფორმაციის შეგროვება.....	62
ამოცანა 6.2 არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება	64
ამოცანა 6.3.ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება	66
ამოცანა 6.4. ახალი სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადება და დამტკიცება	70

შესავალი

ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საქართველო აქტიურად აგრძელებს ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობას, ამ დანაშაულის ეფექტიან გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის ეფექტიანი დახმარების აღმოჩენას, მათ საფუძვლიან რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

ტრეფიკინგთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 1 სექტემბრის №534 ბრძანებულებით ინსტიტუციურ დონეზე შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებო-საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო), რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის №281 დადგენილებით ხელახლა დამტკიცდა საბჭოს შემადგენლობა და მისი დებულება.

საბჭო კოორდინაციას უწევს ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო უწყებების მუშაობას, მონიტორინგს ახორციელებს ეროვნული სამოქმედო გეგმის ჯეროვან შესრულებაზე, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, დანაშაულის პრევენციისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე, ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდულ და საბოლოო ანგარიშებს.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით 2017 წლის 24 დეკემბერს საბჭომ დაამტკიცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ორწლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა (შემდგომში – სამოქმედო გეგმა), რომელიც მოიცავს 2019-2020 წლებში განსახორციელებელ საქმიანობებს.

სამოქმედო გეგმა ეყრდნობა საერთაშორისოდ აღიარებულ „4P“ პრინციპს:

- ❖ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია;
- ❖ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა;
- ❖ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა;
- ❖ თანამშრომლობა;

სამოქმედო გეგმა, ასევე, დიდ ყურადღებას უთმობს ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის პოლიტიკის განვითარებას ანალიზისა და კვლევის საფუძველზე, ტრეფიკინგის თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კომპონენტს, ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე პირების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პროფესიული ტრენინგების ჩატარებასა და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების, როგორც ტრეფიკინგის დანაშაულის ერთ-ერთი მოწყვლადი ჯგუფის იდენტიფიცირების, დაცვისა და დახმარების საკითხს.

სახელმწიფოს მიერ ზემოაღნიშნული მიმართულებებით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის ანგარიშით საქართველომ გადაინაცვლა შეფასების უმაღლეს საფეხურზე, ე.წ. 1-ელ კალათში და ანალოგიური ადგილი შეინარჩუნა 2017, 2018, 2019 და 2020 წლების ანგარიშებითაც¹, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და მთავრობა სისტემატურად ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 2018-2020 წლების ანგარიშებით, აღმოსავლეთის პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის, მხოლოდ საქართველო მოხვდა რეიტინგული სკალის უმაღლეს საფეხურზე.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ოფისმა საქართველოს ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა და ეროვნული რეფერალური მექანიზმი ერთ-ერთ სანიმუშო მოდელად მიიჩნია და გადაწყვიტა მისი ასახვა ტრეფიკინგთან ბრძოლის ეროვნული რეფერალური მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკის ამსახველ სახელმძღვანელო დოკუმენტში. სახელმძღვანელოს მომზადების პროცესში სპეციალური მოწვევით ასევე მონაწილეობდა იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლობა.

საერთაშორისო ორგანიზაციამ „Walk Free Foundation“, რომელიც ყოველწლიურად მონობის გლობალურ ინდექსს (Global Slavery Index) ზომავს, 2019 წლის ანგარიშში - „გაზომვა, ქმედება, თავისუფლება“ (Measurement, Action, Freedom) - საქართველოს 183 ქვეყანას შორის მე-18 ადგილი მიაკუთვნა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველო, როგორც დაბალი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მქონე ქვეყანა, გამოირჩევა ტრეფიკინგის წინააღმდეგ გატარებული ეფექტიანი ქმედებებით და რეგიონში პირველ ადგილს იკავებს.² 2019 წელი მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ საქართველომ წარადგინა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის შესრულების რიგით მესამე ანგარიში და 2019

¹ ანგარიშები ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://www.state.gov/trafficking-in-persons-report/>

² 2019 წლის ანგარიში „გაზომვა, ქმედება, თავისუფლება“ ხელმისაწვდომია: <https://www.globalslaveryindex.org/resources/downloads/>

წლის 4-8 ნოემბერს უმასპინძლა ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფს (GRETA) ამავე შეფასების რაუნდის ფარგლებში. GRETA-ს მესამე შეფასების ანგარიში საქართველოსთან მიმართებით, საქართველოს კომენტარებთან ერთად, გამოქვეყნდა 2021 წლის 16 მარტს. ანგარიშში GRETA დადებითად აფასებს საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ რეფორმებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.³

2019 წლის 17-19 ივნისს, საქართველომ, ასევე, უმასპინძლა ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ეუთოს სპეციალური წარმომადგენლისა და კოორდინატორის ოფისის დელეგაციას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პოლიტიკის გაცნობისა და შეფასების მიზნით. ვიზიტის შედეგად, 2020 წლის 5 მაისს, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ეუთოს სპეციალური წარმომადგენელმა და კოორდინატორმა საქართველოსთან მიმართებით გამოსცა ანგარიში საქართველოს მთავრობის კომენტარებთან ერთად.⁴

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, ისევე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები მნიშვნელოვანი იქნება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ქართული პოლიტიკისა და მიდგომების შემდგომი დახვეწისთვის.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2-წლიან ანგარიშს, რომელიც მოიცავს 2019 წლის 1-ელი იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.


2020 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელება. ვირუსით გამოწვეული პანდემიისა და მისი პრევენციის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით სახელმწიფო უწყებები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, ეფექტიანად და დროულად განხორციელებინათ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები. მონიტორინგის საფუძველზე დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 57 აქტივობიდან სრულად შესრულდა⁵ 44 აქტივობა (77%),

³ GRETA-ს მესამე შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ. გვერდზე: <https://rm.coe.int/greta-report-on-the-implementation-of-the-council-of-europe-convention/1680a1c79a>

⁴ ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ეუთოს სპეციალური წარმომადგენლისა და კოორდინატორის ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f/documents/8/5/451561.pdf>

⁵ სტატუსი “სრულად შესრულდა” მიენიჭა ისეთ აქტივობებს, რომლის განხორციელებითაც დადგა ინდიკატორით გათვალისწინებული შედეგი.

მეტწილად შესრულდა⁶ 2 აქტივობა (4%), ნაწილობრივ შესრულდა⁷ 7 აქტივობა (12%), და არ შესრულდა⁸ 4 აქტივობა(7%).



⁶ სტატუსი „მეტწილად შესრულდა“ მიენიჭა ისეთ აქტივობებს, რომელთა შესრულებისთვის დიდწილად განხორციელდა ღონისძიებები, თუმცა ინდიკატორით გათვალისწინებული შედეგი საანგარიშო პერიოდში არ დადგა.

⁷ სტატუსი „ნაწილობრივ შესრულდა“ მიენიჭა ისეთ აქტივობებს, რომელთა განხორციელებაც საანგარიშო პერიოდში დაიწყო, თუმცა ინდიკატორით გათვალისწინებული შედეგი არ დამდგარა საანგარიშო პერიოდში ან აქტივობა თავისი ხასიათით მოითხოვდა მუდმივ რეჟიმში განხორციელებას, თუმცა განხორციელდა შეზღუდულად COVID-19 პანდემიის გამო.

⁸ სტატუსი „არ შესრულდა“ მიენიჭა ისეთ აქტივობებს, რომელთა განხორციელება საანგარიშო პერიოდში არ დაწყებულა.

1.ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის პოლიტიკის განვითარება

ამოცანა 1.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით არსებული მექანიზმების დახვეწა

აქტივობა 1.1.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ახალი ტენდენციების, ასევე მსხვერპლთა/დაზარალებულთა და დამნაშავეთა პროფილის შესწავლა და შეფასება არსებული საქმეების საფუძველზე. ინდიკატორი: ტრეფიკინგის შესწავლილი საქმეები; ჩატარებული ანალიზის დოკუმენტი და ანალიზის შედეგად გამოვლენილი საკითხები;

სტატუსი: სრულად შესრულდა

2015-2020 წლების მონაცემებით საქართველოში იდენტიფიცირებულ იქნა 72 მსხვერპლი/დაზარალებული⁹. მათი უმეტესობა, ძირითადად, საქართველოს და ცენტრალური აზიის ქვეყნების მოქალაქეები არიან. საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ტრეფიკინგის დანაშაულის ყველაზე გავრცელებული ფორმა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით განხორციელებული ტრეფიკინგია, თუმცა გამოვლინდა შრომითი ექსპლუატაციის რამდენიმე ფაქტიც. საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილი ტრეფიკინგის დანაშაულის ყველაზე გავრცელებული ფორმა კი შრომითი ექსპლუატაციაა, რომელთა უმრავლესობა ჩადენილია თურქეთის რესპუბლიკასა და ერაყის რესპუბლიკაში.

იდენტიფიცირებული ტრეფიკინგის მსხვერპლებისა და დაზარალებულების პროფილის ანალიზი გენდერულ და ასაკობრივ კრილში გვიჩვენებს, რომ მსხვერპლების/დაზარალებულების 49% არის არასრულწლოვანი გოგონა, 39% - ქალი, 8% - კაცი, ხოლო 4% - არასრულწლოვანი ბიჭი; ქალი მსხვერპლების/დაზარალებულების საშუალო ასაკი 31 წელია, კაცების - 35 წელი, ხოლო ბავშვების (როგორც გოგონების, ისე ბიჭების) - 11 წელი.

როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე ცენტრალური აზიის ქვეყნების მოქალაქე ქალები საქართველოში ძირითადად პროსტიტუციაში ჩართვის გზით სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლები ხდებიან, ხოლო საქართველოს მოქალაქე კაცები და ქალები საზღვარგარეთ -

⁹ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი ტრეფიკინგის დანაშაულთან დაკავშირებით იცნობს ორ სტატუსს: ტრეფიკინგის მსხვერპლსა და ტრეფიკინგის დაზარალებულს. პირს ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი ენიჭება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში არსებული მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ, ხოლო პირს დაზარალებულის სტატუსს ანიჭებს პროკურორი დადგენილების საფუძველზე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. ტრეფიკინგის მსხვერპლი და დაზარალებული სარგებლობს ერთნაირი უფლებრივი მდგომარეობით.

შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლები. რაც შეეხება ბავშვებს, ისინი ძირითადად გაყიდვის, პორნოგრაფიაში, პროსტიტუციაში ან მათხოვრობაში ჩართვის გზით ექსპლუატაციის მსხვერპლები არიან.

ამასთან, გამოვლენილი ტრეფიკინგის შემთხვევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლნი/დაზარალებულნი და მათ მიმართ დანაშულის ჩამდენი პირები ძირითადად ერთი და იმავე ქვეყნის მოქალაქეები არიან, სანაცნობო წრიდან ან/და ოჯახის წევრები.

2019-2020 წლებში იდენტიფიცირებულ იქნა ჯამში 32 ტრეფიკინგის დაზარალებული არასრულწლოვანი 6 საქმეში და 3 მსხვერპლი 3 საქმეში. გამოვლინდა როგორც მათხოვრობაში, პროსტიტუციაში და პორნოგრაფიაში ჩართვის გზით ბავშვთა ექსპლუატაციის, ისე სრულწლოვანი პირების სექსუალური და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევები:

- არასრულწლოვანთა ექსპლუატაცია მათხოვრობაში ჩართვის გზით - დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 4 საქართველოს მოქალაქე არასრულწლოვანს (3 გოგონა და 1 ბიჭი, 6, 8, 9 და 11 წლის);
- არასრულწლოვანთა ექსპლუატაცია მათხოვრობაში ჩართვის გზით - დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 2 არასრულწლოვანს (12 წლის გოგო და 13 წლის ბიჭი);
- არასრულწლოვანთა ექსპლუატაცია მათხოვრობაში ჩართვის გზით - დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 9 და 12 წლის 2 გოგოს.
- არასრულწლოვანთა ექსპლუატაცია პორნოგრაფიაში ჩართვის გზით - 18 საქართველოს მოქალაქე გოგოს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი (ასაკი მერყეობს 8-დან 15 წლის ჩათვლით);
- არასრულწლოვანთა ექსპლუატაცია პორნოგრაფიაში ჩართვის გზით - 5 საქართველოს მოქალაქე გოგოს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი (ასაკი მერყეობს 16-დან 18 წლის ჩათვლით);
- არასრულწლოვანის ექსპლუატაცია პროსტიტუციაში ჩართვის გზით - დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 15 წლის გოგოს;
- სრულწლოვანის სექსუალური ექსპლუატაცია - 2 სხვადასხვა საქმეში მსხვერპლის სტატუსი მიენიჭა ყირგიზეთის მოქალაქე 31 წლის ქალს და უზბეკეთის მოქალაქე 33 წლის ქალს;
- სრულწლოვანის შრომითი ექსპლუატაცია - მსხვერპლის სტატუსი მიენიჭა თურქმენეთის მოქალაქე, 40 წლის კაცს.

2019 - 2020 წლებში ტრეფიკინგის 7 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი ჯამში 32 პირის მიმართ:

- 1 საქართველოს მოქალაქე კაცის და 1 საქართველოს მოქალაქე ქალის მიმართ მათხოვრობაში ჩართვის გზით ბავშვთა ექსპლუატაციის ფაქტზე;

- 1 უზბეკეთის მოქალაქე ქალის მიმართ - სრულწლოვნის მიმართ განხორციელებული სექსუალური ექსპლუატაციის ფაქტზე;
- 3 პირის მიმართ (1 ავსტრალიის მოქალაქე კაცი და 2 საქართველოს მოქალაქე კაცი) - არასრულწლოვანთა პორნოგრაფიაში ჩართვის გზით ექსპლუატაციის ფაქტზე;
- 20 პირის მიმართ (15 საქართველო მოქალაქე ქალი, 4 საქართველოს მოქალაქე კაცი და 1 ამერიკის მოქალაქე კაცი) - არასრულწლოვანთა პორნოგრაფიაში ჩართვის გზით ექსპლუატაციის სავარაუდო ფაქტზე;
- 1 საქართველოს მოქალაქე ქალის მიმართ - მათხოვრობაში ჩართვის გზით ბავშვთა ექსპლუატაციის ფაქტზე;
- 2 საქართველოს მოქალაქე ქალის მიმართ - მათხოვრობაში ჩართვის გზით ბავშვთა ექსპლუატაციის ფაქტზე;
- 1 საქართველოს მოქალაქე ქალისა და 2 საქართველოს მოქალაქე კაცის მიმართ - პროსტიტუციაში ჩართვის გზით არასრულწლოვნის სექსუალური ექსპლუატაციის ფაქტზე.

დამატებით აღსანიშნავია, რომ 2019 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გამოქვეყნდა ტრეფიკინგის სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი, რომელიც მოიცავს როგორც ბრალდებულის, ისე დაზარალებულის პროფილს და მახასიათებლებს - <http://pog.gov.ge/news/adamianis-uflebaTa-dacvis-sammarTvelom-trefikingis-danashaulebze-angarishi-moamzada> გარდა ამისა, პროკურატურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის ანგარიში, სადაც მითითებულია სეგრეგირებული მონაცემები ტრეფიკინგის დანაშაულზე დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის თაობაზე. <http://pog.gov.ge/uploads/c7c23efb-generaluri-prokuraturis-saqmianobis-angarishi-2020-compressed.pdf>.

აქტივობა 1.1.2. ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ყველა სახის ძალადობისგან, მათ შორის ტრეფიკინგისაგან დაცვის მიზნით სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება

ინდიკატორი: შემუშავებული სახელმწიფო სტრატეგია

სტატუსი: მეტწილად შესრულდა

2020 წელს საბჭოს ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ფუნქციად განისაზღვრა ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ყველა სახის ძალადობისგან, მათ შორის ტრეფიკინგისგან დაცვის მიზნით 2021-2025 წლების სამთავრობო სტრატეგიისა და მისი შესრულების 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება. სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილნი არიან შემდეგი უწყებები: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო (შემდგომში - ზრუნვის სააგენტო)¹⁰ და სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო¹¹. სტრატეგიის შემუშავების პროცესში სიტუაციის ანალიზისა და გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით მოსაზრებების გაზიარება ეთხოვათ, ასევე, მიუსაფარ ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს. სტრატეგიისა და მისი შესრულების სამოქმედო გეგმის მიღება საქართველოს მთავრობის მიერ იგეგმება 2021 წლის პირველ ნახევარში.

2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია

ამოცანა 2.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ცნობიერების ამაღლება

აქტივობა 2.1.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019 და 2020 წლების საინფორმაციო სამოქმედო გეგმების შემუშავება

ინდიკატორი: შემუშავებული სამოქმედო გეგმის დოკუმენტი

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

2019 წელს შრომითი ტრეფიკინგის სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა 2019 წლის სამოქმედო გეგმა, სადაც თითოეულმა ჩართულმა უწყებამ (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდგომში - ფონდი), სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

¹⁰ 2020 წლის 1-ელი თებერვლიდან განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.“ ვინაიდან ანგარიში მოიცავს 2019-2020 წლებში განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციას, 2019 წლის ღონისძიებებთან დაკავშირებით ანგარიშში გამოყენებული იქნება უწყებების ძველი სახელწოდებები, ხოლო 2020 წლის ღონისძიებებთან დაკავშირებით - ახალი სახელწოდება.

¹¹ 2020 წლის 1-ელი იანვრიდან სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“. 2019 წლის ღონისძიებებთან დაკავშირებით ანგარიშში მოხსენიებულია სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი.“

სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი) აიღო ვალდებულება წლის განმავლობაში ტრეფიკინგის თემაზე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. ვინაიდან აღნიშნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართული იყო ყველა უწყება, ვინც ერთობლივად თუ დამოუკიდებლად ახორციელებს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს, დამატებით, საინფორმაციო სამოქმედო გეგმის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა.

2020 წელს COVID 19-ის პრევენციასა და ამ მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით სახელმწიფო უწყებები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, განხორციელებინათ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია და პირისპირი შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის მიზნით. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2020 წლის საინფორმაციო გეგმა არ შემუშავებულა.

აქტივობა 2.1.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ინდიკატორი: სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში შეტანილი თემების რაოდენობა; ტრეფიკინგის საკითხების შემცველი სახელმძღვანელოების რაოდენობა; განახლებული სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია უმცირესობების ენებზე; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, სადაც მიმდინარეობს ტრეფიკინგის სწავლება; უმაღლეს სასწავლებლებში სილაბუსების რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სარგებლობენ 2012 წელს გრიფინიჭებული სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებით. 2019-2020 წლებში ამ სახელმძღვანელოების რიცხვი და მათში ტრეფიკინგისადმი მიძღვნილი გაკვეთილების რაოდენობა უცვლელია. კერძოდ, მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სამოქალაქო განათლების საგნობრივი სტანდარტი ითვალისწინებს ტრეფიკინგის შესახებ სწავლებას. ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შექმნილ სასკოლო სახელმძღვანელოებში ცალკე გაკვეთილები ეთმობა ტრეფიკინგის თემას.

- სამოქალაქო განათლების IX კლასის სახელმძღვანელოში (ავტორები: თამარ მეიფარიანი, ლეილა მიქიაშვილი, ირინე ჯალაღანია, მაია გონაშვილი, მიხეილ თოქმაზიშვილი, დალი შავლობაშვილი და რუსუდან დალაქიშვილი, გამომცემლობა: შპს „საქართველოს მაცნე“, 2012 წ.) მე-6 თემის სახელწოდებაა „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) - მონობის თანამედროვე ფორმა“ (გვ. 19); სახელმძღვანელოში ასახული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე.

- სამოქალაქო განათლების IX კლასის სახელმძღვანელოში (ავტორები: ნინო ტალახაძე, თამარ ქალდანი, თამარ ბრეგვაძე და ივანე პეტრიაშვილი. გამომცემლობა: სიდი, 2012 წ.) ტრეფიკინგის თემა ასახულია ორ გაკვეთილში: 44. ტრეფიკინგი - მონობის თანამედროვე ფორმა (გვ. 111); 45. უსაფრთხო მიგრაცია (გვ. 115); სახელმძღვანელოში ასახული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე.
- სამოქალაქო განათლების X კლასის (ავტორები: ნინო ტალახაძე, თამარ ქალდანი, თამარ ბრეგვაძე და ივანე პეტრიაშვილი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013 წ.) სახელმძღვანელოში ტრეფიკინგის თემას სამი გაკვეთილი ეძღვნება: 18. ახალგაზრდობა - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკის ჯგუფი (გვ.38); 19. ახალგაზრდების ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის რისკფაქტორები (გვ. 41); 20. ვინ და როგორ ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი (გვ. 44).

გარდა ზემოაღნიშნული გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოებისა, მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები IX და X კლასებისათვის, სათაურით - „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“, რომლებიც ორ-ორი საგაკვეთილო თემისაგან შედგება. სახელმძღვანელოები გამდიდრებულია ვიდეორესურსითაც და თან მოყვება სპეციალური ცნობარი მშობელთათვის.

ამრიგად, სამოქალაქო განათლების სამ სახელმძღვანელოში ტრეფიკინგს ეხება სულ ექვსი თემა. ხოლო ორ დამხმარე სახელმძღვანელოში, ტრეფიკინგი განხილულია ოთხ თემაში.

გარდა ამისა, დამტკიცებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაც, რომლის ფარგლებში საბაზო საფეხურზე გათვალისწინებულია „მოქალაქეობის“ სწავლება, რომლის პროგრამაშიც ასახულია ტრეფიკინგის საკითხი. განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა მიმდინარეობს ეტაპობრივად.

დამატებით აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ჩართულობისა და თანამშრომლობის პროგრამა სამართლებრივი განათლებისთვის GE CALLS მოიცავს სასკოლო კომპონენტს, რომლის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაცია PH International-ის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებული სასწავლო საგნის „სამართლებრივი კულტურის“ ფარგლებში მომზადებულია საგაკვეთილო კურსები სამართლებრივ კულტურაში. აღნიშნული საგანი, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს ინტერაქტიურ რეჟიმში, ტრეფიკინგის და ორგანიზებული დანაშაულის შესახებ საკითხების განხილვას.

მსგავსი პროგრამა, „პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობის ინიციატივა აჭარაში“ (ACPI), 2015 წლიდან, ასევე, ხორციელდება აჭარაში PH International-ის მიერ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამა მოიცავს 2 კომპონენტს:

სასკოლო და სათემო. სკოლის მოსწავლეებს, ადგილობრივ სამართალდამცავების ხელმძღვანელობითა და პედაგოგებთან თანამშრომლობით, უტარდებათ საგაკვეთილო კურსი-სამართლებრივი კულტურის საგანში, რომლის ფარგლებშიც განიხილება, ასევე, ტრეფიკინგისა და ორგანიზებული დანაშაულის შესახებ საკითხები.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საკითხები, სასწავლო კურსისა და შესაბამისი სილაბუსების სახით, ისწავლება სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე:

1. შპს-კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე რამდენიმე წელია ხორციელდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემის სწავლება როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, ადამიანით ვაჭრობის საკითხი გათვალისწინებულია სასწავლო კურსში „სისხლის სამართალი. დანაშაული ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ“ და შესაბამისი სილაბუსში, ხოლო სამაგისტრო პროგრამაზე - სასწავლო კურსში „ორგანიზებული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები“.
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე, მიმდინარეობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემის სწავლება, შემდეგი სასწავლო კურსების ფარგლებში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი („ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“ და „დანაშაულის სხვა სახეები“), სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა.
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს მოიცავს სამართალმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები, კერძოდ, ორი დისციპლინა: 1. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; 2. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე, ისწავლება კურსი - „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები“. აღნიშნული კურსი 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გაიარა 50-მა სტუდენტმა, ხოლო ამჟამად გადის 50 სტუდენტი;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული საკითხები ჩასმულია სალექციო კურსის სახით სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების საგნებში;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თაობაზე გარკვეული თემატიკა, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან, ასახულია სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის სასწავლო კურსებში.

7. ააიპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხები ისწავლება საგანში "სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)".
8. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში არსებულ შემდეგ სასწავლო კურსებზე ისწავლება საკითხი ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ:
 - დემოკრატია და მოქალაქეობა;
 - სამოქალაქო საზოგადოების როლი;
 - ადამიანთა ძირითადი უფლებები;
 - ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართალი;
 - სისხლის სამართალი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული).

აქტივობა 2.1.3 ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო ვიდეო რგოლების გაშვება მედიის საშუალებით

ინდიკატორი: ვიდეო რგოლის გავრცელების არეალი, ტერიტორიული დაფარვის ზონა; შესაბამისი სატელევიზიო კლიპების რაოდენობა სატელევიზიო არხებისა და გაშვების დროის მითითებით

აქტივობა 2.1.4. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო რადიო რგოლის გავრცელება

ინდიკატორი: რადიო რგოლის გავრცელების არეალი, ტერიტორიული დაფარვის ზონა; შესაბამისი რადიო რგოლების რაოდენობა, რადიო ტალღებისა და გაშვების დროის მითითებით

სტატუსი: სრულად შესრულდა ორივე აქტივობა

საერთო პასუხი 2.1.3 და 2.1.4 აქტივობებზე

20 წამიანი საინფორმაციო რგოლი (სოციალური რეკლამა) ტრეფიკინგის თემატიკაზე, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცხელი ხაზის (116 006) შესახებ, გავიდა შემდეგ სატელევიზიო და რადიო არხებზე: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (ტელევიზიასა და რადიოში), ტელეკომპანია „იმედი“ და „აჭარის ტელევიზია“. აღნიშნული რგოლი გადიოდა 2019 წლის მაისში, ივნისში, ივლისში და ოქტომბერში.

2020 წელს ზრუნვის სააგენტოს მიერ შეიქმნა ვიდეო/რადიო რგოლი ტრეფიკინგის შესახებ, რომელიც ასევე შეიცავს ინფორმაციას ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზის

(116 006) შესახებ. აღნიშნული ვიდეო/რადიო რგოლი გადიოდა შემდეგ სატელევიზიო/რადიო არხებზე:

- ტელეკომპანია “POS TV-ის” ეთერში 2020 წლის 18 დეკემბრიდან 2020 წლის 27 დეკემბრამდე.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში 2020 წლის 18 დეკემბრიდან 2020 წლის 28 დეკემბრამდე.
- რადიო „მაესტროს“ ეთერში რადიო რგოლის გაშვება დაიწყო 2020 წლის 16 დეკემბრიდან და გაგრძელდება 2021 წლის 16 აპრილამდე.
- რადიო „იმედის“ ეთერში რადიო რგოლის გაშვება დაიწყო 2020 წლის 16 დეკემბრიდან და გაგრძელდება 2021 წლის 16 მარტამდე.

2020 წელს იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მჭიდრო თანამშრომლობით მომზადდა ვიდეო კლიპი, სახელწოდებით „საფრთხე ერთი შეხედვით უხილავია.“ ვიდეო კლიპი ეხებოდა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ტრეფიკინგისგან დაცვას. აღნიშნული ვიდეო კლიპი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით, 2020 წლის 18 ოქტომბერს გავრცელდა შემდეგი სატელევიზიო არხების მეშვეობით:

- „ევრონიუსი საქართველო“ - ვიდეო კლიპი გავრცელდა 6-ჯერ;
- ტელეკომპანია „ბორჯომი“ - ვიდეო კლიპი გავრცელდა 10-ჯერ, 18 ოქტომბრიდან 24 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში;
- „ფორმულა“- 4-ჯერ;
- “მთავარი არხი“ – 4-ჯერ;
- “აჭარის ტელევიზია” - 4-ჯერ;
- „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ – 4-ჯერ.

აქტივობა 2.1.5 საინფორმაციო მასალის გავრცელება იუსტიციის სახლებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, ასევე საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში (მათი თანხმობის შემთხვევაში), დიასპორულ ორგანიზაციებში, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, საზოგადოებრივ ცენტრებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრებსა და სხვა მაღალი რისკის შემცველ ადგილებსა და რეგიონებში

ინდიკატორი: ბეჭდვითი საინფორმაციო მასალის რაოდენობა და გავრცელების ტერიტორიული არეალი; გავრცელებული მასალების ნაირსახეობა სამიზნე ჯგუფების მიხედვით

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

2019 წელს ფონდის მიერ დამზადებული ექსპენოვანი ბროშურები (ქართული, რუსული, ინგლისური, აზერბაიჯანული, სომხური და თურქული ენა) აქტიურად ვრცელდებოდა საზოგადოებაში, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებში (უმადლესი და ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლების სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები, საზღვრისპირა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები), მათ შორის ზემოაღნიშნული ბროშურები დაურიგდათ მარნეულის მუნიციპალიტეტის #4 და #8 საჯარო სკოლის მოსწავლეებს, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ ქვემო ჭალის მაცხოვრებლებს, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ ატოცის საჯარო სკოლის მოსწავლეებს და პედაგოგებს, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ კოშკის (მერეთის თემი) მაცხოვრებლებს, ხაშურისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი სკოლების მოსწავლეებს და პედაგოგებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტის, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, ბათუმის საკრებულოს წევრებს და თანამშრომლებს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოქმედ ოჯახის ექიმებს. ჯამში ფონდის მიერ 2019 წელს გავრცელდა 945 ბროშურა.

2020 წელს COVID 19-ით გამოწვეული პანდემიის პრევენციის მიზნით, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად შეზღუდული სახით მიმდინარეობდა პირისპირ საინფორმაციო შეხვედრების განხორციელება ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომლის ფარგლებშიც საინფორმაციო ბროშურების გავრცელება დროებით შეჩერდა.

2019-2020 წლებში ტრეფიკინგის საფრთხეების და მისგან თავის დაცვის საშუალებების შესახებ საინფორმაციო ბროშურები თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გადაეცა 3780 მოქალაქეს.

2019-2020 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მობილური ჯგუფებისა და აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლების მიერ, განხორციელებულ იქნა, საქართველოს მასშტაბით, ტრეფიკინგის რისკის შემცველი ადგილების შემოწმება და რისკ-ჯგუფის შემცველ დაწესებულებებში მომუშავე პირებთან გასაუბრება და მათი ინფორმირება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ფორმების და რისკების შესახებ. ასევე, მათ დაურიგდათ საინფორმაციო ხასიათის ბროშურები ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებების და სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული სერვისების თაობაზე.

2018 წელს ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა 2000 ცალი ბროშურა მიაწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში და მიგრაციის დეპარტამენტში გავრცელების მიზნით.

ბროშურების საკმარისი რაოდენობიდან გამომდინარე 2019 წელს დამატებით საინფორმაციო მასალების მიწოდების საჭიროება არ დამდგარა, ხოლო 2020 წელს მიგრაციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მაძიებელთა მიმღებ ცენტრსა და დროებითი განთავსების ცენტრში გავრცელდა ტრეფიკინგთან დაკავშირებული 2000-მდე საინფორმაციო მასალა ქართულ, ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებზე.

ამასთან, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM), შინაგან საქმეთა სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლობით, აშშ საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, 2017 წლიდან ხორციელდება სოციალურ კამპანია სახელწოდებით „ადამიანით ვაჭრობის პრევენცია და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირება.“ აღნიშნული კამპანიის ფარგლებში სარფის გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე განთავსებული იყო საინფორმაციო ხასიათის ბანერები.

2019 წელს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 21 საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით ვრცელდებოდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო ბროშურები ოთხ ენაზე (ქართული, ინგლისური, რუსული და თურქული). 2020 წლის დასაწყისში, მსოფლიოში COVID-19-ის პანდემიის გავრცელების მიზეზით, დროებით შეჩერდა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების ფუნქციონირება. შესაბამისად, საინფორმაციო ცენტრებში ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო ბროშურების გავრცელება ვერ განხორციელდა სრული წლის განმავლობაში.

COVID-19-ის პანდემიიდან გამომდინარე, საინფორმაციო მასალების ნაცვლად, ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების თემაზე მომზადებული საინფორმაციო ბანერები განთავდა თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმისა და თელავის იუსტიციის სახლებში, ასევე, ბათუმსა და თბილისში მდებარე ავტობუსის გაჩერებებზე.

აქტივობა 2.1.6. ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე დისკუსიების, საინფორმაციო შეხვედრებისა ან/და კონფერენციების გამართვა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

ინდიკატორი: გამართული დისკუსიების, საინფორმაციო შეხვედრების ან/და კონფერენციების რაოდენობა; ტერიტორიული დაფარვა; მონაწილეთა რაოდენობა

სტატუსი: მეტწილად შესრულდა

2019 წლის განმავლობაში ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე ფონდის ორგანიზებით/ჩართულობით გაიმართა შემდეგი საინფორმაციო შეხვედრები:

- 22 იანვარი - საინფორმაციო შეხვედრა ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულის მუნიციპალიტეტში, მარნეულის N8 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. მონაწილეთა რაოდენობა - 65;
- 1 თებერვალი - საინფორმაციო შეხვედრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტის, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. მონაწილეთა რაოდენობა - 15;
- 5 თებერვალი - საინფორმაციო შეხვედრა ხაშურისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი სკოლების მოსწავლეებთან, ორგანიზატორი და მხარდამჭერი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია(IOM). მონაწილეთა რაოდენობა - 85;
- 13 თებერვალი - საინფორმაციო შეხვედრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებთან. მხარდამჭერი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მონაწილეთა რაოდენობა - 20;
- 22 თებერვალი - ქვემო ქართლის რეგიონი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, საინფორმაციო შეხვედრა მარნეულის N4 და N8 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. მონაწილეთა რაოდენობა - 40;
- 28 მარტი - საინფორმაციო შეხვედრა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელი ატოცის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. ორგანიზატორი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. მონაწილეთა რაოდენობა - 20;
- 15 აპრილი - საინფორმაციო შეხვედრა თბილისის შემეცნების აკადემიის წევრებთან/სტუდენტებთან, მონაწილეთა რაოდენობა - 40;
- 4 ნოემბერი - საინფორმაციო შეხვედრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტებთან. მხარდამჭერი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დამსწრეთა რაოდენობა -11.

2019 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ ჩატარდა შემდეგი საინფორმაციო ღონისძიებები:

- სკოლის, საზოგადოებისა და პოლიციის თანამშრომლობის პროგრამა „SCOPE“-ის ფარგლებში, არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია PH International-ის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული სასწავლო საგნის- „სამართლებრივი კულტურა“- ფარგლებში, შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, საანგარიშო პერიოდში ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით თბილისის მასშტაბით შერჩეულ 9 საჯარო სკოლაში (№85, №87, №155, №166, №143, №207, №47, №49, №169), ჩატარდა

გაკვეთილები, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ინტერაქტიულ რეჟიმში მოხდა ორგანიზებული დანაშაულისა და ტრეფიკინგის საკითხების განხილვა. სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია ტრეფიკინგისა და ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეებისა და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ, ასევე, უფლებადაცვით ან სამართალდამცავ ორგანოებთან დროულად მიმართვის შემთხვევაში, მოახდენენ შემდგომი საფრთხის თავიდან არიდებას.

ამავე პროგრამის ფარგლებში ტრეფიკინგის შესახებ გაკვეთილები ჩატარდა გარდაბნის N1, N3 და N4 საჯარო სკოლებში, ლანჩხუთის №1 და №3 საჯარო სკოლებში და ქ. ხონის №4 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. ასევე, ზუგდიდის №10, სენაკის №7, წალენჯიხის №1, წალენჯიხის №2, წალენჯიხის რაიონ დაბა ჯვარის №1 და №2 სკოლებში ჩატარდა გაკვეთილი ტრეფიკინგის შესახებ, რომელსაც ჯამში 500-მდე სკოლის მოსწავლე დაესწრო.

- 2019 წლის განმავლობაში, შსს სამეგრელო ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ინიციატივით ხორციელდებოდა საინფორმაციო შეხვედრები სამეგრელოს რეგიონის ქალაქების ზუგდიდის, ფოთის, ხობის, სენაკის, აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის 16 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან, შეხვედრის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებზე: ბავშვთა უფლებებზე, გენდერული ნიშნით და ძალადობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის შესახებ, და შეხვედრების ციკლის დასასრულს გაიმართა დისკუსია თემაზე: „არასრულწლოვანთა შრომითი და სექსუალური ექსპლუატაცია“.
- 2019 წლის 15 მარტს სამეგრელო ზემო-სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ზუგდიდის რაიონში არსებულ საზღვრისპირა სოფლების (რუხის, კოკის, დარჩელის, განმუხურის, ანაკლიის) საჯარო სკოლებში, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგისა და მსხვერპლთათვის სახელმწიფო სერვისების შესახებ, შეხვედრას ესწრებოდნენ სკოლის პედაგოგები, უფროსკლასელი მოსწავლეები და მათი მშობლები. შეხვედრის მონაწილეებს დაურიგდათ შსს-ს მიერ შექმნილი ფლაერები ორგანიზებული დანაშაულის ბრძოლის და ძალადობის შესახებ.
- 2019 წლის 20 მაისს სამეგრელო ზემო-სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ სენაკის №1 და №2 საჯარო სკოლებში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრთან ერთად ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები მაღალი საფეხურის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან, რომლებიც სხვა სამართლებრივ საკითხებთან ერთად გაეცნენ ინფორმაციას, ორგანიზებული

დანაშაულის ფორმებზე, როგორცაა: ტრეფიკინგი, კიბერდანაშაული და მისი პრევენცია. მოსწავლეებთან შეხვედრისას ხაზი გაესვა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეებისაგან თავის დაცვის მექანიზმებს, ინტერნეტის არამართლზომიერად გამოყენების საფრთხეებს და აღნიშნული საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით გასათვალისწინებელ გარემოებებს.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) კუთხით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით გაიმართა 7 სასწავლო შეხვედრა მოსახლეობასთან.
- 2019 წლის 6 მარტს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენელთან ერთად, შიდა ქართლის რეგიონში, გამყოფი ხაზისპირა სოფელ ქვემო ჭალაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგისა და მსხვერპლთათვის სახელმწიფო სერვისების შესახებ შეხვედრა გამართა. შეხვედრას სკოლის პედაგოგები, უფროსკლასელი მოსწავლეები და მათი მშობლები ესწრებოდნენ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის, საკანონმდებლო სიახლეებისა და სახელმწიფო სერვისების, დაცვის მექანიზმის შესახებ.

2019 წელს პროკურორებმა ჩაატარეს 10 საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრები ჩატარდა ოზურგეთის, სენაკის, ფოთის, სამტრედიის, ამბროლაურის, თელავის, გურჯაანის, ბოლნისის და ახალციხის რაიონული პროკურატურების (ახალციხე 2 შეხვედრა ჩაატარა) ორგანიზებით. შეხვედრებს ესწრებოდნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, სტუდენტები, ადგილობრივი მოსახლეობა (ერთ-ერთ შეხვედრას სოფელ ყარაჯალაში ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობაც ესწრებოდა). თითო შეხვედრას საშუალოდ 50 ადამიანი ესწრებოდა. შეხვედრაზე პროკურორები მიმოიხილავდნენ შემდეგ საკითხებს: ტრეფიკინგის შესახებ ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების ზოგადი მიმოხილვა; სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი დანაშაულების - 143¹, 143² და 143³ მუხლების განმარტება; დაზარალებულის/მსხვერპლის უფლებები; ძირითადი მტკიცებულებები; ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლის ამოსაცნობი ზოგადი ინდიკატორები; თავის დაცვის მექანიზმები; მსხვერპლთა დახმარების სახელმწიფო სერვისები.

2019 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 3 საინფორმაციო შეხვედრა თბილისში, სტუდენტებთან - შრომის უსაფრთხოებისა და იძულებითი შრომის შესახებ, რომელსაც ჯამში 60-მდე სტუდენტი დაესწრო.

2019 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარდა შემდეგი საინფორმაციო შეხვედრები:

1. სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“

- 8 აპრილი - შეხვედრა თემაზე - „ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესი მომავლისაკენ“ - ქალთა მიმართ ძალადობა და ტრეფიკინგის საკითხები, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა (არასამთავრობო ორგანიზაცია „მეწარმე ქალთა ფონდი“), მონაწილეთა რაოდენობა - 90;
- 15 ოქტომბერი - შეხვედრა თემაზე - „ძალადობის ჯაჭვი“ - ძალადობა ოჯახში, ტოლერანტობა, ტრეფიკინგი, ბულინგი, ორგანიზაცია - „ჰუმანიტარული ფონდი სოხუმი“ და „ფონდი ქველმოქმედი 2015“, მონაწილეთა რაოდენობა - 87.

2. სსიპ - კოლეჯი „მოდუსში“, 22 მაისს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოში საზღვრის და მიგრაციის მართვის მდგრადობის უზრუნველყოფა (SBMMG)“ ფარგლებში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა ევროპაში მიგრაციის ირგვლივ აქტუალური საკითხების და უსაფრთხო მიგრაციის უპირატესობის შესახებ, მათ შორის ტრეფიკინგის საკითხებზე. მონაწილეთა რაოდენობა 40.

3. სსიპ-ში - კოლეჯი „ახალი ტალღა“, 16 დეკემბერს, ბათუმის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ლექცია-სემინარი და გაიმართა დისკუსია, კოლეჯის 150 პროფესიულ სტუდენტთან, რომელიც ეხებოდა ოჯახში ძალადობას და ტრეფიკინგს. ლექცია წაიკითხეს ბათუმის რაიონულმა პროკურორებმა.

4. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“, ორგანიზებით, 28 იანვარს, პროფესიულ სტუდენტებთან გაიმართა შეხვედრა „ცნობიერების ამაღლება ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის საკითხებზე“. შეხვედრის მონაწილეები: 40 პროფესიული სტუდენტი, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ინკლუზიური განათლების სპეციალისტები.

5. 17 ოქტომბერს, ქ. ახალციხეში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ასოციაცია „ტოლერანტის“ ოფისში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (IOM) გაიმართა

შეხვედრა „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე“. შეხვედრას ესწრებოდნენ კოლეჯის „იპიზარი“ მასწავლებლები და სტუდენტები (ჯამში 29 მსმენელი).

6. სსიპ - კოლეჯი „ლაკადა“ - 22 ივნისს, გაეროს უშიშროების საბჭოს პროექტის „ქალების მშვიდობასა და უსაფრთხოების“ საკითხებზე, გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და მათ ოჯახის წევრებთან, გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებზე (როგორცაა ტრეფიკინგი, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და უკანონო დაკავების საფრთხეები) შედგა შეხვედრა, რომელსაც უძღვებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ფონდისა და ზუგდიდის ოფისის იურიდიული სამსახურის წარმომადგენლები. შეხვედრა შედგა კითხვა-პასუხის რეჟიმში. დამსწრეებს მიეწოდათ ინფორმაცია ძალადობის, ტრეფიკინგის პრევენციის გზების შესახებ.

2020 წლის 19 თებერვალს, უსაფრთხო მიგრაციის უპირატესობებზე ინფორმირების მიზნით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ შედგა შეხვედრა, სადაც ისაუბრეს უკანონო მიგრაციაზე, რომ უვიზო მიმოსვლა და წესების დარღვევა ყველა შემთხვევაში წარმოშობს სირთულეებს, როგორც ინდივიდუალურ, ასევე ქვეყნის დონეზე. შეხვედრაზე განხილულ იქნა როგორც მიგრაციასთან და უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული საკითხები, ისე უკანონო მიგრაციის თანმდევი შესაძლო საფრთხეები, მათ შორის ტრეფიკინგი.

7. ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სამთავრობო კამპანიის ფარგლებში, 2019 წლის 28 ნოემბერს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტებთან შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა ქალთა ტრეფიკინგის, ქორწინების იძულების, ოჯახში ძალადობის, ადევნების, სექსუალური შევიწროების და სხვა საინტერესო საკითხები. ასევე, განხილული იქნა ამ კუთხით კანონმდებლობაში ბოლო დროს განხორციელებულ ცვლილებები.

8. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა 2 კონფერენცია, სადაც ერთ-ერთი განსახილველი საკითხი იყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) თემატიკა.

2020 წელს COVID 19-ის პრევენციასა და ამ მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით სახელმწიფო უწყებები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, განხორციელებინათ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია და პირისპირი შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის მიზნით. მიუხედავად ამისა, 2020 წელს ჩატარდა შემდეგი საინფორმაციო შეხვედრები:

- 2020 წლის 9 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ტრეფიკინგის თემაზე საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (30-მდე მონაწილე);
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) კუთხით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით გაიმართა 3 ონლაინ სასწავლო შეხვედრა კერძო სკოლა „პეგასის“ მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებისთვის (მონაწილეთა რაოდენობა 65);
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ზრუნვის სააგენტოსთან, იურიდიული დახმარების სამსახურთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2020 წლის 9 ოქტომბერს, სოფელ ორსანტიაში გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა (გამყოფი ხაზის მიმდებარედ) საჯარო სკოლის პედაგოგებთან. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგის რისკებისა და მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომ სახელმწიფო სერვისებზე (მონაწილეთა რაოდენობა: 30);
- 2020 წლის 19 დეკემბერს იუსტიციის სამინისტრომ ტრეფიკინგის თემაზე online შეხვედრა გამართა სტუდენტებთან (მონაწილეთა რაოდენობა -15);

აქტივობა 2.1.7. ყოველწლიურად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე იმიტირებული სასამართლო პროცესის ჩატარება

ინდიკატორი: ჩატარებული იმიტირებული პროცესი (ორი ტურნირი), მონაწილეთა რაოდენობა (მინიმუმ 24, მაქსიმუმ -40)

სტატუსი: სრულად შესრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ორგანიზებით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, 2019 წლის 15-17 თებერვალს, ქ. თბილისში, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში სტუდენტებისთვის გაიმართა პროექტის „გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე“ ზეპირი რაუნდები.

პროექტში მონაწილეობა მიიღო 5 უნივერსიტეტის 8 გუნდმა (სულ 36 მონაწილე). შედეგად გაიმარჯვა თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდმა, რომელთაც გადაეცათ შესაბამისი პრიზები.

ზეპირ რაუნდებამდე სტუდენტებს ჩაუტარდათ ტრენინგები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე.

პროექტის მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, ფონდი და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. ანალოგიური პროექტი განხორციელდა 2020 წელსაც. პროექტში დარეგისტრირებულ 25 გუნდს (76 მონაწილე) ჩაუტარდა ონლაინ ტრენინგები ტრეფიკინგის თემაზე. იმიტირებული პროცესის ზეპირი რაუნდები გაიმართა 2020 წლის 29-31 ივლისს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტის, გორის უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებმა (ჯამში 21 მონაწილე).

პროექტი განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორები იყვნენ საქართველოს პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ზრუნვის სააგენტო.

აქტივობა 2.1.8. ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან, მათ შორის: იძულებით გადაადგილებულ პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ეთნიკურ/ეროვნულ უმცირესობებთან;

ინდიკატორი: ჩატარებული შეხვედრებისა და მონაწილეთა რაოდენობა, განთავსებული ინფორმაცია ვებ- გვერდზე

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

2019 წლის განმავლობაში ფონდის ორგანიზებით/ჩართულობით ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა აქტივობით გათვალისწინებულ შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან:

- 22 იანვარი - საინფორმაციო შეხვედრა ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულის მუნიციპალიტეტში, მარნეულის N8 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. მონაწილეთა რაოდენობა - 65;
- 22 თებერვალი - ქვემო ქართლის რეგიონი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, საინფორმაციო შეხვედრა მარნეულის N4 და N8 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. მონაწილეთა რაოდენობა - 40;
- 6 მარტი - საინფორმაციო შეხვედრა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ ქვემო ჭალის ადგილობრივ მაცხოვრებლებთან. ორგანიზატორი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. მონაწილეთა რაოდენობა - 30.

- 28 მარტი - საინფორმაციო შეხვედრა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელი ატოცის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. ორგანიზატორი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. მონაწილეთა რაოდენობა - 20;
- 23 ოქტომბერი - საინფორმაციო შეხვედრა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ კოშკაში (მერეთის თემი) ადგილობრივ მოსახლეობასთან, ორგანიზატორი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. მონაწილეთა ოდენობა - 15.

2019 წლის განმავლობაში 2019 წლის 27 ივნისს, 17 ივლისს და 5 ნოემბერს, მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში თავშესაფრის მაძიებლებთან შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტმა ჩაატარა 3 საინფორმაციო შეხვედრა საქართველოში მათთვის არსებულ სამართლებრივ გარანტიებზე. საინფორმაციო შეხვედრების დროს მათ ინფორმაცია მიეწოდათ, ასევე, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის არსებული მექანიზმებისა და ტრეფიკინგის რისკების შესახებ (მონაწილეთა რაოდენობა - 32 პირი).

2019 წელს საქართველოს მასშტაბით მოქმედ 11 საზოგადოებრივ ცენტრში (ვალეს (ახალციხის მუნიციპალიტეტი), სადახლოს (მარნეულის მუნიციპალიტეტი), მარტყოფის (გარდაბნის მუნიციპალიტეტი), სართიჭალის (გარდაბნის მუნიციპალიტეტი), ლაჯანას (ცაგერის მუნიციპალიტეტი), ლენტეხის (2), ლესიჭინეს (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი), ჭალადიდის (ხობის მუნიციპალიტეტი), ზედა საზანოს (თერჯოლის მუნიციპალიტეტი), ყვარელწყალის (ახმეტის მუნიციპალიტეტი)) ჩატარდა შენგენსა და ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო ტიპის შეხვედრები, რომლებიც ასევე მოიცავდა ტრეფიკინგის რისკებისა და მასთან ბრძოლის საკითხებს.

ბავშვთა შრომის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული (12 ივნისი) კვირულის ფარგლებში სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრმა“ საქართველოს 12 ქალაქში/დაბაში ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები 13-18 წლის მოზარდებთან. კამპანიის მიზანს წარმოადგენდა შრომითი უფლებების შესახებ ბავშვების ცნობიერების ამაღლება. შეხვედრების ფარგლებში ყურადღება გამახვილდა, ასევე, ტრეფიკინგსა და ბავშვთა შრომით ექსპლუატაციაზე. შეხვედრები ჩატარდა თბილისში (12 მონაწილე), მცხეთაში (25 მონაწილე), გორში (11 მონაწილე), ოზურგეთში (16 მონაწილე), ლანჩხუთში (6 მონაწილე), ლესაში (8 მონაწილე), ბორჯომში (8 მონაწილე), ახალციხეში (13 მონაწილე), აწყურში (20 მონაწილე), ვალეში (11 მონაწილე), ადიგენსა (7 მონაწილე) და ახალქალაქში (9 მონაწილე) (ჯამში 146 მონაწილე).

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, ზრუნვის სააგენტოს, იურიდიული დახმარების სამსახურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართულობით, 2020 წლის 3 ივლისს, სოფელ

ზარდიანთკარში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა (ღია სივრცეში) გამყოფ ხაზთან მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან. მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგის დანაშაულის რისკებისა და ამ მიმართულებით სახელმწიფოში არსებულ სერვისებსა და ცხელი ხაზის თაობაზე (10 მონაწილე).

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, ზრუნვის სააგენტოს, იურიდიული დახმარების სამსახურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართულობით, 2020 წლის 9 ოქტომბერს, სოფელ ორსანტიაში გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა (გამყოფი ხაზის მიმდებარედ) საჯარო სკოლის პედაგოგებთან. მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგის დანაშაულის რისკებისა და ამ მიმართულებით სახელმწიფოში არსებულ სერვისებსა და ცხელი ხაზის თაობაზე (30 მონაწილე).

აქტივობა 2.1.9 იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება კერძო სექტორში მომუშავე დამსაქმებელთა და დასაქმებულთათვის

ინდიკატორი: ჩატარებული შეხვედრებისა და მონაწილეთა რაოდენობა, განთავსებული ინფორმაცია ვებ- გვერდზე

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დამსაქმებლებთან და დასაქმებულებთან საინფორმაციო შეხვედრა ჩატარეს ყაზბეგის რაიონის დაბა სტეფანწმინდაში ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციის “People in Need“-ის თანაორგანიზებით. შეხვედრა შეეხებოდა იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფოს ზედამხედველობის პოლიტიკას და ასევე შრომის უსაფრთხოების კანონში მიმდინარე ცვლილებებს. შეხვედრას ესწრებოდა 30-მდე მონაწილე.

2019 წლის 13 ნოემბერს, თბილისში, SIDA-ს თანაორგანიზებით, ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრა შეეხებოდა შრომის უსაფრთხოების ორგანულ კანონს და ტრეფიკინგის პრევენციის საკითხებს. შეხვედრას ესწრებოდა 200-მდე მსმენელი.

2020 წელს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, საქართველოს ბიზნეს ასოციაციასთან ერთად განახორციელა საინფორმაციო შეხვედრა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო შეხვედრა ონლაინ რეჟიმში გაიმართა და მასზე განხილულ იქნა 2021 წლის 1 იანვრიდან შრომის

ინსპექციის გაზრდილი მანდატის ფარგლებში არსებული უფლება-მოვალეობები. მათ შორის საუბარი ეხებოდა იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მასზე რეაგირების მიზნით სახელმწიფოს ზედამხედველობის პოლიტიკას. შეხვედრას სხვადასხვა ბიზნეს სექტორის 100-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა.

აქტივობა 2.1.10. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმაციის მუდმივად განახლება ვებ-გვერდებზე

ინდიკატორი: ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია;

სტატუსი: სრულად შესრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია დეტალური ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის, ეროვნული რეფერალური მექანიზმის, სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების ანგარიშების, სტატისტიკური მონაცემებისა და საგრანტო კონკურსების შესახებ. ვებგვერდი მუდმივად განახლების პროცესშია. <http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/309>.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ვებ-გვერდზე პერიოდულად ქვეყნდებოდა პრეს-რელიზები ტრეფიკინგის დანაშაულში მხილებული პირების ბრალდებისა და სასამართლო განხილვების შესახებ. პროაქტიულად ხდებოდა საზოგადოების ინფორმირება საქართველოს პროკურატურის მიერ ტრეფიკინგთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ. 2019 წელს გამოქვეყნდა ტრეფიკინგის სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი - <http://pog.gov.ge/news/adamianis-uflebaTa-dacvis-sammarTvelom-trefikingis-danashaulebze-angarishi-moamzada>. 2020 წელს საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდს დაემატა „ადამიანის უფლებების“ სპეციალური ტაბი, სადაც თემატურად განთავსდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ მომზადებული ანალიზები 2014 წლიდან დღემდე, მათ შორის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თაობაზე <http://pog.gov.ge/public-info/Inner/95>.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეებისა და თავის დაცვის საშუალებების შესახებ და ხდება არსებული ინფორმაციის მუდმივი განახლება <http://ge/ge/projects/adamianit-vachroba>. ასევე პროაქტიულად ხდება მიმდინარე წარმატებული შემთხვევების გამოქვეყნება.

ზრუნვის სააგენტოს ფარგლებში ფუნქციონირებს ვებ-გვერდი (<http://www.atipfund.gov.ge/>), სადაც განთავსებულია ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ კანონმდებლობის, სააგენტოს სერვისებისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. სააგენტოს აქვს საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელში (facebook) სახელწოდებით *Atipfund Georgia*, სადაც აქტიურად განიხილება ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული საკითხი.

ტრეფიკინგის ფაქტების პრევენციის და შესაბამისი ღონისძიების გატარების მიზნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. მითითებული ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია სამინისტროს ვებგვერდზე. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ვებგვერდებზე განთავსებულია ინფორმაცია ტრეფიკინგის საკითხებზე. ვებგვერდზე გამოტანილი ინფორმაცია, ასევე, შეიცავს ადგილსამყოფელ ქვეყანაში ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების საკონტაქტო მონაცემებს. <http://mfa.gov.ge/MainNav/ConsularInformation/Trafficking.aspx>

აქტივობა 2.1.11. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული და საერთაშორისო დღის აღნიშვნა (18 ოქტომბერი, 30 ივლისი)

ინდიკატორი: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დღის აღნიშვნის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წლის 30 ივლისს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ორგანიზებით სტუდენტებისთვის გაიმართა კონფერენცია ტრეფიკინგის თემაზე (მონაწილეთა რაოდენობა - 15).

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (30 ივლისი), 2020 წლის 29-31 ივლისს, კახეთში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ერთობლივი ორგანიზებით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა ტრეფიკინგის თემაზე გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესის ზეპირი რაუნდები. მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტის, გორის უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებმა (ჯამში 21 მონაწილე). პროექტის პარტნიორები იყვნენ საქართველოს პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ზრუნვის სააგენტო.

2019 წელს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით (18 ოქტომბერი), საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრმა (ICMPD), საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის მიერ დაფინანსებული ENIGMMA 2 პროექტის ფარგლებში განახორციელა ხელოვნების ნამუშევრების კონკურსი. კონკურსის მიზნად ისახავდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკებისა და საფრთხეების თაობაზე. მასში მონაწილეობა შეეძლო ყველა დაინტერესებულ პირს 16 წლის ასაკიდან, როგორც პროფესიონალს, ისე მოყვარულს. კონკურსის შედეგად გამოვლინდა 3 გამარჯვებული, რომელთაც გადაეცათ სხვადასხვა პრიზი. 2020 წელს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით (18 ოქტომბერი), იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლობით განხორციელდა საინფორმაციო კამპანია ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვების, როგორც ტრეფიკინგისთვის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის, თემაზე სახელწოდებით „საფრთხე ერთი შეხედვით უხილავია.“ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მომზადდა და სოციალური ქსელებისა და ტელევიზიების მეშვეობით გავრცელდა ვიდეო კლიპი, საინფორმაციო ბანერები განთავსდა თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმისა და თელავის იუსტიციის სახლებში, ასევე, თბილისისა და ბათუმში არსებულ ავტობუსის გაჩერებებზე.

ამოცანა 2.2. ქუჩაში მცხოვრები და ქუჩაში მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირება და არასრულწლოვანთათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება

აქტივობა 2.2.1. ქუჩაში მცხოვრები ან/და ქუჩაში მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირება და მათთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მოწესრიგების გაგრძელება.

ინდიკატორი: იდენტიფიცირებულ მიუსაფარ ბავშვთა რაოდენობა; გაცემული საიდენტიფიკაციო დოკუმენტების რაოდენობა;

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წელს იდენტიფიცირებულ იქნა 428 ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვი (მიუსაფარი ბავშვი), ხოლო 2020 წელს - 234.

2019 წელს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ“ უსასყიდლოდ გასცა 16 დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი 16 მიუსაფარ ბავშვზე, 8 დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი 8 ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე და 3 ბიომეტრიული პასპორტი 3 ბავშვზე. 2020 წელს გაიცა 8 დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი 8 მიუსაფარ ბავშვზე და 4 დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი 4 ძალადობის მსხვერპლ

ბავშვზე. 2020 წელს, ასევე, გაიცა 1 ბინადრობის ელექტრონული მოწმობა, 11 პირადობის ელექტრონული მოწმობა 11 ბავშვზე და 5 ბიომეტრიული პასპორტი 5 ბავშვზე.

აქტივობა 2.2.2 იდენტიფიცირებული ქუჩაში მცხოვრები ან/და ქუჩაში მომუშავე ბავშვების ინფორმირება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ

ინდიკატორი: ჩატარებული საინფორმაციო ღონისძიებების რაოდენობა და სახეობა; ღონისძიებებში მონაწილე ბავშვთა რაოდენობა

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

2019 წელს მიუსაფარ ბავშვთათვის არსებულ 6 დღის ცენტრსა და 6 სადღეღამისო თავშესაფარში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ტრეფიკინგის შესახებ. შეხვედრებს დაესწრო ჯამში 50 ბენეფიციარი.

COVID-19 პანდემიის პრევენციის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით 2020 წელს მიუსაფარ ბავშვებთან საინფორმაციო შეხვედრები ტრეფიკინგის თემაზე არ ჩატარებულა.

აქტივობა 2.2.3. ქუჩაში მცხოვრებ და ქუჩაში მომუშავე ბავშვებთან მომუშავე მობილური ჯგუფებისათვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება

ინდიკატორი: შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები

სტატუსი: სრულად შესრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ზრუნვის სააგენტოსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მჭიდრო თანამშრომლობითა და ქართველი ექსპერტის დახმარებით ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირებაზე მომუშავე მობილური ჯგუფებისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო დოკუმენტი სახელწოდებით „სახელმძღვანელო მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე.“ სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ. გვერდზე: <https://www.justice.gov.ge/Ministry/Department/481>

სახელმძღვანელო მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. ტრეფიკინგის დანაშაულის მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმები და ეროვნული კანონმდებლობა;
2. ტრეფიკინგის დანაშაული;

3. იდენტიფიცირების გზები, მსხვერპლთა და დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში და სერვისები;
4. ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაცია, დამახასიათებელი ნიშნები და ინდიკატორები;
5. ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვთან კონტაქტის დამყარება და გასაუბრება/გამოკითხვა;
6. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები;
7. მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე მობილური ჯგუფი.

აქტივობა 2.2.4. ქუჩაში მცხოვრები ან/და ქუჩაში მომუშავე ბავშვების (რომლებიც არ ირიცხებიან სკოლაში) ფორმალურ განათლებაში ჩართვის ხელშეწყობა.

ინდიკატორი: საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული ბავშვების რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

მიუსაფარი ბავშვების (ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების) ფორმალურ განათლებაში ჩართვის მიზნით, 2019-2020 წლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამა „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით“ ფარგლებში, ორგანიზაცია ააიპ „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრთან (CDSC)“ პარტნიორობით უწყვეტად ახორციელებდა სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის - „ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის“ მიწოდებას ზრუნვის სააგენტოს მიუსაფარი ბავშვებისთვის არსებული ყველა სერვისის - სადღეღამისო თავშესაფრებისა და დღის ცენტრების მომსახურების მიმღები ბავშვებისთვის (ქ. თბილისში, ქ. რუსთავეში, ქ. ქუთაისში). 2019-2020 წლებში სერვისით ისარგებლა 237-მდე ე.წ. ქუჩაში მცხოვრებმა და მომუშავე ბავშვმა (2019 წელს 169 და 2020 წელს 157 ბავშვმა). საანგარიშო წლების სხვადასხვა პერიოდებისთვის, 2019 წელს პროგრამაში ირიცხებოდა 120-დან 140-მდე ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვი, 2020 წელს - 100-დან 115-მდე ბავშვი. 2019 წელს 12 მათგანი ჩაირიცხა სკოლაში, ხოლო 2020 წელს - 9, მოსწავლის სტატუსი აღუდგა 20 ბავშვს. სერვისში ჩართული ბავშვების 85% ირიცხება საჯარო სკოლაში და გრძელდება მათთან სკოლის მიტოვების პრევენციისთვის მუშაობა, მათ შორის სკოლაში სოციალური მუშაობის მხარდაჭერით. პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად, 2019 წელს მომზადდა და ჩაირიცხა 10 ბენეფიციარი, ხოლო 2020 წელს - 12. მიუსაფარი ბავშვების მიმართ არსებული სტიგმის დასაძლევად, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის, 2019 წელს ტრენინგები ჩატარდა ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის ბენეფიციარების 10 საჯარო სკოლის მასწავლებლებს, მოდულის მიხედვით - „მოწყვლადი ჯგუფების ბავშვთა საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიკაცია, მათთან კომუნიკაციის და თანამშრომლობის სტრატეგიები“, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. მიუსაფარი ბავშვების კლასელების მშობლებისთვის, 2019 წელს 17 საჯარო სკოლაში, განხორციელდა 26 შეხვედრა, 2020 წელს კი - 11 საჯარო სკოლაში,

განათლების უფლებასთან დაკავშირებული საკითხების და ამ მიმართულებით საზოგადოების თანადგომის გავლენის შესახებ (დანარჩენი ბენეფიციარების სკოლის მოსწავლეების მშობლებთან წინა წლებში ჩატარდა იგივე აქტივობა). 2020 წელს ასევე განხორციელდა საინფორმაციო კამპანია „ყველა ბავშვი სკოლაში“ ონლაინ სოციალური ქსელების მომხმარებლებისთვის.

2019 წელს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, შემუშავდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის სტრატეგიის პროექტი სკოლის მიღმა დარჩენილი და დარჩენის მაღალი რისკის მქონე ბავშვებისათვის. 2020 წელს ამ სტრატეგიის ფარგლებში ქვეყანაში სკოლის მიღმა დარჩენილი მოზარდების და ახალგაზრდების მიერ გამოტოვებული საბაზო ზოგადი განათლების საკომპენსაციოდ, მათი საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით, პროფესიული განათლების პროგრამებზე სწავლის ხელმისაწვდომობისა და უზრუნველყოფისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით და ადგილობრივ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, შეიქმნა სპეციალური საგანმანათლებლო სერვისების - ხიდი და რე-ინტეგრაციის პროგრამების საგანმანათლებლო რესურსები - დაწვეისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმი, სპეციალისტთა მეთოდოლოგიური გზამკვლევები, წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების პროგრამები. მიმდინარეობს ამ რესურსის პილოტირება საჯარო სკოლებსა და მიუსაფარი ბავშვების სერვისებში.

აქტივობა 2.2.5 ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვთა ტრეფიკინგისაგან დაცვის მიზნით საინფორმაციო კამპანიის განხორციელება

ინდიკატორი: განხორციელებული საინფორმაციო კამპანია

სტატუსი: სრულად შესრულდა

2020 წელს იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლობით განხორციელდა საინფორმაციო კამპანია ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვების, როგორც ტრეფიკინგისთვის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის, თემაზე სახელწოდებით „საფრთხე ერთი შეხედვით უხილავია.“ COVID-19 პანდემიისა და მისი პრევენციის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მომზადდა და სოციალური ქსელებისა და ტელევიზიების მეშვეობით გავრცელდა ვიდეო კლიპი, საინფორმაციო ბანერები განთავსდა თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმისა და თელავის იუსტიციის სახლებში, ასევე, თბილისისა და ბათუმში არსებულ ავტობუსის გაჩერებებზე.

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა

ამოცანა 3.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრების) ეფექტიანი საქმიანობა

აქტივობა 3.1.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა არსებული თავშესაფრების საქმიანობის მონიტორინგი და მონიტორინგის საფუძველზე ანგარიშის მომზადება

ინდიკატორი: შესრულებული ვიზიტების რაოდენობა და მონიტორინგის შედეგების ამსახველი დოკუმენტი

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წლის 17 იანვარს არაგემიური, ხოლო 27 თებერვალს განხორციელდა გემიური მონიტორინგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურულ ერთეულში - თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი);

2019 წლის 20-22 თებერვალს და 22-23 აგვისტოს განხორციელდა გემიური მონიტორინგი ფონდის სტრუქტურულ ერთეულებში - ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი). არაგემიური მონიტორინგი ბათუმის თავშესაფარში განხორციელდა 2019 წლის 28-29 ნოემბერს.

2019 წლის 20-22 თებერვალს გემიური მონიტორინგი განხორციელდა ოზურგეთის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში;

2019 წლის 28 თებერვალს განხორციელდა გემიური მონიტორინგი ფონდის სტრუქტურულ ერთეულში - თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში;

2019 წლის 12 მარტს განხორციელდა გემიური მონიტორინგი ფონდის სტრუქტურულ ერთეულში - გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი).

COVID-19-ის პრევენციის მიზნით ქვეყანაში მოქმედი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, ზრუნვის სააგენტოს მიერ, 2020 წელს თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში მონიტორინგი შეზღუდული რაოდენობით განხორციელდა:

- 2020 წლის მე-2 კვარტალში არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი).
- 2020 წლის მე-3 კვარტალში გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურებების დაწესებულებაში (თავშესაფარი) განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი;
- 2020 წლის მე-4 კვარტალში თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში განხორციელდა რენდომული შემოწმება (სიტუაციის ადგილზე გაცნობა, შესწავლა, ანალიზი) არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

აქტივობა 3.1.2. არსებულ თავშესაფრებში მომსახურების მიწოდებისას ბავშვის (განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის) საჭიროებების გათვალისწინება

ინდიკატორი: ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის შესაბამისი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფილი თავშესაფრები

სტატუსი: სრულად შესრულდა

2017 წლის დეკემბერში ფონდმა უზრუნველყო ფონდის ბენეფიციარებთან სოციალური მუშაობის და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის/დახმარების შესახებ სახელმძღვანელო მითითებებისა და ინსტრუმენტების (მათ შორის, ფსიქოლოგიური და სოციალური მუშაობისთვის საჭირო სხვადასხვა მოდულების) შემუშავება, რაც ასევე მოიცავდა თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში ბენეფიციარის პირადი საქმეებისთვის განკუთვნილი ფორმების გაუმჯობესებას/დახვეწას. შესაბამისად, სახელმძღვანელო მითითებების ინტეგრირება შინაგანაწესებსა და რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის (შემთხვევის მართვის) გეგმებში და მათი დანერგვა პრაქტიკაში (საქმიანობაში) ხორციელდება 2018 წლიდან. 2019 წელს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის და სოციალური მუშაობის სახელმძღვანელოებში მოხდა ბავშვებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობის სპეციფიკური საკითხების ინტეგრირება.

ზრუნვის სააგენტოს მიერ განახლებულ მსხვერპლთათვის/დაზარალებულთათვის არსებულ რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის (შემთხვევის მართვა) გეგმებში დეტალურად ხორციელდება თითოეული ბენეფიციარისათვის (მათ შორის არასრულწლოვნების და ბენეფიციარზე დამოკიდებული პირების) საჭირო მომსახურებების დაგეგმვა და მისი განხორციელებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრა.

თავშესაფრები ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

2020 წლისათვის აღნიშნული აქტივობის განხორციელების მიზნით დამატებითი ღონისძიებების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა.

ამოცანა 3.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება ნებაყოფლობით და უსაფრთხოდ და დაბრუნებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა

აქტივობა 3.2.1 უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა, საჭიროების შემთხვევაში, დროებითი ბინადრობის ნებართვით უზრუნველყოფა

ინდიკატორი: მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა, რომლებსაც მიეცათ დროებითი ბინადრობის ნებართვა

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წელს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ გასცა ერთი სპეციალური ბინადრობის ნებართვა, ხოლო 2020 წელს - 5 სპეციალური ბინადრობის ნებართვა.

აქტივობა 3.2.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ/დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, ხოლო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხოდ დაბრუნების უზრუნველყოფა

ინდიკატორი: მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში დაბრუნებულ ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა¹²

ზრუნვის სააგენტო მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ/დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში რეპატრაციის სერვისს. 2019 წელს იდენტიფიცირებულ იქნა 29 დაზარალებული, რომელთაგან ყველა საქართველოს მოქალაქე იყო, ხოლო -2020 წელს იდენტიფიცირებულ იქნა 3 საქართველოს მოქალაქე დაზარალებული და 3 უცხო ქვეყნის მოქალაქე მსხვერპლი, რომელთაც არ გამოუთქვამთ სამშობლოში

¹² ვინაიდან სერვისი ხელმისაწვდომი იყო, თუმცა მსხვერპლებს არ გამოუთქვამთ სამშობლოში დაბრუნების სურვილი, ამიტომ აქტივობას მიენიჭა შესრულების სტატუსი.

დაბრუნების სურვილი. შესაბამისად, 2019-2020 წლებში მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში დაბრუნების მომსახურების გაწევის საჭიროება, ზრუნვის სააგენტოს ბენეფიციარებისათვის არ დამდგარა.

აქტივობა 3.2.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

ინდიკატორი: მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა და მათთვის რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის მიზნით მიწოდებული სერვისები

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წელს ტრეფიკინგის დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 29 არასრულწლოვანს, რომელთაგან სახელმწიფო ფონდისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს მომსახურებებით 11-მა არასრულწლოვანმა ისარგებლა. კერძოდ, ფონდის მომსახურებებით ისარგებლა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 4-მა არასრულწლოვანმა დაზარალებულმა (მათ შორის: 3 მდედრ. და 1 მამრ. სქესის). ოთხივე მათგანმა მიიღო სადღეღამისო საცხოვრისი თავშესაფარში და ისარგებლეს ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებით/რეაბილიტაციით. მათზე შემდგომი ზრუნვის განხორციელების მიზნით, არასრულწლოვნები გადაყვანილ იქნენ მინდობით აღზრდაში. ხუთმა არასრულწლოვანმა ისარგებლა კრიზისული ცენტრის მომსახურებით (ფსიქოლოგის მომსახურება), 2-მა ბავშვმა ისარგებლა მიუსაფარ ბავშვთა სადღეღამისო თავშესაფრით და მასში გათვალისწინებული მომსახურებებით, ხოლო დანარჩენი ბავშვების იურიდიულმა წარმომადგენლებმა სახელმწიფოსგან რაიმე სახის დახმარების მიღებაზე უარი თქვეს.

2020 წელს იდენტიფიცირებულ იქნა 3 მსხვერპლი და 3 დაზარალებული. იდენტიფიცირებული მსხვერპლებისა და დაზარალებულების სურვილის შესაბამისად ექვსივე მათგანმა ისარგებლა თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურებით, ოთხმა მიიღო სამედიცინო მომსახურება, ასევე ოთხმა ისარგებლა ფსიქოლოგიური დახმარებით, ხუთ მათგანს გაეწია სამართლებრივი მომსახურება/კონსულტაცია, ხოლო სამმა მიიღო ერთჯერადი სახელმწიფო კომპენსაცია.

4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა

ამოცანა 4.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამომიქმენისათვის პროაქტიული მიდგომების და სხვა უახლესი მეთოდოლოგიების დანერგვა საუკეთესო უცხოური პრაქტიკის გამოყენებით

აქტივობა 4.1.1 სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე უწყებების მიერ საჭიროების შემთხვევაში, დასრულებული საქმეების ერთობლივი განხილვა ტრეფიკინგის დანაშაულის ახალი ტენდენციების გამოვლენის მიზნით

ინდიკატორი: განხორციელებული შეხვედრების რაოდენობა, გამოვლენილი ტენდენციები და, საჭიროების შემთხვევაში, ტენდენციების შესაბამისად შემუშავებული რეკომენდაციები

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

2019 წლის 14 სექტემბერს, ქ. ბათუმში, გაიმართა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე მოსამართლეების, პროკურორების და გამომძიებლების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა ტრეფიკინგის დანაშაულის ახალი ტენდენციები, თანამედროვე გამოწვევები როგორცაა: შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევების კვალიფიკაცია; პროსტიტუციის ხელშეწყობა, სასამართლო გზით ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურების შემთხვევები; არასრულწლოვანთა მათხოვრობისა და არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის შემთხვევები და სასამართლო პრაქტიკა. შეხვედრის ფარგლებში მონაწილე უწყებებს მიეცათ რეკომენდაციები შემთხვევების სწორი კვალიფიკაციის მიზნით.

COVID-19 პანდემიის პრევენციის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, 2020 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე მომუშავე მოსამართლეების, პროკურორების და გამომძიებლების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა არ ჩატარებულა.

აქტივობა 4.1.2. გამომძიებლებისა და ოპერატიული მუშაკებისთვის შემუშავებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის სტანდარტული ოპერატიული პროცედურებისა (SOPs) და სახელმძღვანელო პრინციპების ეფექტიანი შესრულება

ინდიკატორი: გამოკითხულ პირთა და შემოწმებულ დაწესებულებათა რაოდენობა; ტრეფიკინგის დანაშაულზე დაწყებული გამომძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის რაოდენობა;

სტატუსი: სრულად შესრულდა

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მობილური ჯგუფების მიერ

განხორციელებულ იქნა საქართველოს მასშტაბით ტრეფიკინგის რისკშემცველი ადგილების გამოვლენა-აღრიცხვა, გამოვლენილ იქნა რიგი დაწესებულებებისა, მათ შორის ისინი სადაც სისტემატურად ხდებოდა პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა. COVID-19 პანდემიის პრევენციის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილმა რეგულაციებმა, რაც გულისხმობდა როგორც ქვეყანაში, ისე ქვეყნის საზღვარზე გადაადგილების შეზღუდვას, ასევე, დაწესებულებების ფუნქციონირების შეჩერებას, ზეგავლენა მოახდინა როგორც 2020 წელს შემოწმებული დაწესებულებებისა და გამოკითხებული პირების, ისე გამოძიებების რაოდენობაზე - შემცირდა 2019 წელთან შედარებით.

გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად მობილური ჯგუფების მიერ 2019 წელს გამოკითხული იქნა 528 პირი, ხოლო 2020 წელს - 239 მათ მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის მიზნით. 2019 წელს შემოწმდა 96 დაწესებულება, ხოლო 2020 წელს - 70. შემოწმების დროს მობილური ჯგუფის წევრები აქტიურად არიგებენ საინფორმაციო ხასიათის ბროშურებს ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებების და სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული სერვისების შესახებ.

მობილური ჯგუფის წევრების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის მიზნით 24/7 ხდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის კონტროლი და სისტემატურად მიმდინარეობს თურქეთის რესპუბლიკიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან დეპორტირებულ მოქალაქეებთან გასაუბრება. 2019 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გამოკითხული იქნა სხვადასხვა ქვეყნიდან დეპორტირებული საქართველოს 2926 მოქალაქე ხოლო 2020 წელს - საქართველოს 1068 მოქალაქე.

გარდა ამისა, სპეციალისტთა ჯგუფი (TASK FORCE) აგრძელებს აჭარის რეგიონში ტრეფიკინგის რისკის შემცველი ადგილების პროაქტიულ შემოწმებასა და რისკ-ჯგუფის შემცველ დაწესებულებებში მომუშავე პირთა, მათ შორის, პროსტიტუციაში ჩართულ პირთა, გამოკითხვას და მათ ინფორმირებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ. შემოწმების განმავლობაში სპეციალისტთა ჯგუფის წევრები აქტიურად არიგებენ საინფორმაციო ხასიათის ბროშურებს ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებების და სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული სერვისების შესახებ.

Task Force-ს მიერ გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 2019 წელს შემოწმდა 39 დაწესებულება, ხოლო 2020 წელს - 18. 2019 წელს გამოკითხა 91 მოქალაქე, ხოლო 2020 წელს - 119, მათ მიმართ შესაძლო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის კუთხით. 2019-2020 წლებში ასევე, შემოწმდა ქუჩაში მომუშავე რისკის შემცველი 32 ჯგუფი და განხორციელდა რისკჯგუფს მიკუთვნებული მოქალაქეების გამოკითხვა.

დამატებით, 2019 წლის 14 ნოემბერს ქ. ფოთში შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და ფოთის საქალაქო სამმართველოს მიერ ერთობლივად განხორციელებულ იქნა სამეგრელოს მასშტაბით ტრეფიკინგის რისკ-შემცველი ადგილების გამოვლენა-აღრიცხვა,

მათ შორის ის ობიექტები, სადაც სისტემატურად ხდებოდა პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემა. გატარებული კომპლექსური საგამომიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად საგამომიებო-ოპერატიული ჯგუფების მიერ შემოწმდა 13 დაწესებულება და გამოკითხულ იქნა 50 პირი. გამოკითხვის დროს ხდებოდა პირების ინფორმირება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ.

2020 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში არსებულ ცხელ ხაზზე, განხორციელებულ იქნა 40 ზარი ტრეფიკინგის თემატიკაზე, რის შედეგადაც შემოწმებულ იქნა 8 კომპანია (რომლებიც მოღვაწეობენ ტურიზმისა და დასაქმების სფეროში როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ). შემოწმების შედეგად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტები არ გამოვლენილა.

2019 წელს გამოძიება დაიწყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 21 სავარაუდო ფაქტზე, რომელთაგან 19 სავარაუდო ფაქტი ჩადენილია საქართველოში, ხოლო 2 სავარაუდო ფაქტი ჩადენილია თურქეთის რესპუბლიკაში. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 27 პირის მიმართ სავარაუდო ტრეფიკინგის 5 საქმეზე. გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 2 საქმეში 3 პირის მიმართ, ხოლო იდენტიფიცირებულ იქნა 29 არასრულწლოვანი დაზარალებული.

2020 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 15 სავარაუდო ფაქტზე დაიწყო გამოძიება, რომელთაგან 14 სავარაუდო ფაქტი ჩადენილია საქართველოში, ხოლო 1 სავარაუდო ფაქტი - თურქეთის რესპუბლიკაში. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ ტრეფიკინგის 2 სავარაუდო საქმეზე, ტრეფიკინგის 5 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი ჯამში 29 პირის მიმართ, ხოლო იდენტიფიცირებულ იქნა 3 არასრულწლოვანი დაზარალებული.

აქტივობა 4.1.3. იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების გამოვლენის მიზნით სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის თანამშრომელთათვის

ინდიკატორი: შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტი

სტატუსი: არ შესრულდა

COVID-19-თ გამოწვეული პანდემიის გამო შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის თანამშრომელთათვის იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების გამოვლენის მიზნით სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება გადაიდო 2021 წლისთვის.

ამოცანა 4.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების პროაქტიული გამოვლენა

აქტივობა 4.2.1. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფის რაოდენობის გაზრდა და ფუნქციონირება

ინდიკატორი: შემოწმების მობილური ჯგუფების რაოდენობა;

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წლის სექტემბრიდან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფის რაოდენობა 4-დან გაიზარდა 6-მდე.

აქტივობა 4.2.2. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფებისა და სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) მიერ ტრეფიკინგის მიზნებისთვის მაღალ რისკს მიკუთვნებული ადგილების შემოწმება და დასაქმებულ პირთა გამოკითხვა ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით.

ინდიკატორი: გამოკითხულ პირთა და შემოწმებულ დაწესებულებათა რაოდენობა; გამოვლენილი დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

ინფორმაცია მოცემულია 4.1.2 აქტივობის ქვეშ.

აქტივობა 4.2.3. ტრეფიკინგის მსხვერპლთა ჩვენების არარსებობისას გამოძიებების დაწყება პროაქტიულად

ინდიკატორი: დაწყებული გამოძიებების საერთო რაოდენობიდან პროაქტიულად დაწყებული გამოძიებების რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წელს ტრეფიკინგის 21 სავარაუდო ფაქტიდან პროაქტიულად გამოძიება დაიწყო ტრეფიკინგის 14 სავარაუდო ფაქტზე, ხოლო 2020 წელს 15 სავარაუდო ფაქტიდან გამოძიება დაიწყო 12 სავარაუდო ფაქტზე.

4.2.4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის თანამშრომლობის გაღრმავება შრომითი ექსპლუატაციის ნიშნების გამოვლენის, რეფერირებისა და დროული რეაგირების მიზნით.

ინდიკატორი: შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შემოწმებულ დაწესებულებათა რაოდენობა; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული და გადამისამართებული სავარაუდო შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების რაოდენობა. შრომის ინსპექტირების დეპარტამენტისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მომართვის საფუძველზე შრომითი ექსპლუატაციის ფაქტებზე დაწყებული გამოძიებების რაოდენობა.

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წელს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის სავარაუდო შემთხვევების გამოვლენის მიზნით, განახორციელა 127 ინსპექტირება, რომელთაგანაც 111 გეგმიური ხოლო 16 არაგეგმიური ტიპის შემოწმება იყო. ინსპექტირების დროს შრომის ინსპექტორების მიერ გამოკვეთილი იყო იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის ნიშნები. შემდგომი მოკვლევის მიზნით ფოტო და ვიდეო მასალა გადაგზავნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში. მათ მიერ განხორციელებული მოკვლევის შემდეგ აღნიშნულ ობიექტზე იძულებითი შრომის ფაქტი არ დადასტურდა.

2020 წლისათვის, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით, 2020 წლის გეგმის მიხედვით, სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება კერძო დაწესებულებებში, გეგმიური ზედამხედველობის ფარგლებში ეფუძნებოდა შემდეგ კრიტერიუმებს:

- 1) წინასწარი ინფორმაციით შერჩეულ კომპანიებში დასაქმებულია სულ მცირე 5 ადამიანი.
- 2) შერჩეული კომპანიები უმეტესად წარმოადგენენ მომსახურების და წარმოების სექტორს.
- 3) შესამოწმებელი კომპანიები გადანაწილებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით.
- 4) შესამოწმებელი კომპანიები შერჩეულია საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში.

დამტკიცებული გეგმის ფარგლებში შემოწმებულ იქნა 120 ობიექტი, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, აჭარისა, კახეთის რეგიონებში. შემოწმების შემდეგ იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის ნიშნები არ გამოვლენილა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 29 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმად, 2021 წლის 1-ელი იანვრიდან ჩამოყალიბდა სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური. დამკიცდა სამსახურის დებულება და

ახალი სტრუქტურა, რომლის თანახმად შრომით უფლებებზე ზედამხედველობის დეპარტამენტში შეიქმნა იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის (ტრეფიკინგის) ზედამხედველობის განყოფილება. განყოფილება შედგება 3 თანამშრომლისგან - განყოფილების უფროსი და 2(ორი) შრომის ინსპექტორი.

2019 წელს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული და გადამისამართებული იქნა შრომითი ექსპლუატაციის 5 სავარაუდო შემთხვევა. შემთხვევების შემოწმების შედეგად გამოძიება დაიწყო ტრეფიკინგის 2 სავარაუდო საქმეზე. 2020 წელს ზრუნვის სააგენტოს მიერ არ მომხდარა შრომითი ექსპლუატაციის სავარაუდო შემთხვევების გადამისამართება შინაგან საქმეთა სამინისტროში.

აქტივობა 4.2.5 იურიდიული პირების მიმართ ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის კუთხით ძალისხმევის გაძლიერება

ინდიკატორი: შემოწმებული დაწესებულებების/ადგილების რაოდენობა; გამოვლენილი დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

ინფორმაცია 2019-2020 წლებში ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევების გამოვლენის მიზნით შემოწმებული დაწესებულებებისა და გამოვლენილი დანაშაულების თაობაზე მოცემულია 4.1.2 და 4.2.4 აქტივობებში.

გარდა ამისა, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, პროაქტიული და პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აქტიურად მიმდინარეობს იმ პირებისა და ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ასევე, არალეგალური მიგრაციის ხელშეწყობის, ყალბი დოკუმენტის დამზადებისა და ტრეფიკინგთან მათი თანამონაწილეობის ფაქტების დადგენის მიზნით ხორციელდება ტურისტული კომპანიების საქმიანობის, იმ ორგანიზაციების და პირთა შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ საზღვარგარეთ წამსვლელ პირთათვის სავიზო მომსახურების გაწევას.

საქართველოს პროკურატურის და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თემაზე მომზადდა სპეციალური სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო საქართველოს პროკურატურის პროკურორების, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა და იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების მექანიზმებს, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კრიტერიუმებს, სასჯელის

სახეებს, სისხლის სამართალწარმოების ალტერნატიულ მექანიზმებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს. სახელმძღვანელოს პრაქტიკაში სწორად გამოყენების მიზნით, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა გაიარეს სწავლება.

აქტივობა 4.2.6. სისხლის სამართლის საქმის შესახებ სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება, სადაც მითითებული იქნება გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის რაოდენობა ექსპლუატაციის სახის მიხედვით, მსხვერპლთა/დაზარალებულთა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისთვის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესი, ასაკი, ეროვნება

ინდიკატორი: შემუშავებული და გამოქვეყნებული სტატისტიკა

სტატუსი: სრულად შესრულდა

2015 წლიდან საბჭოს სამდივნო (იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი) აწარმოებს ტრეფიკინგის ერთიან მონაცემთა ბაზას, რომელიც მუდმივად განახლების პროცესშია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და ზრუნვის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ინტეგრირებული მონაცემთა ბაზა შეიცავს 2010-2020 წლების შემდეგი სახის ინფორმაციას:

1. მონაცემები სისხლის სამართლის საქმეების შესახებ – გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, სასამართლოში გაგზავნილი საქმეებისა და განაჩენების რაოდენობა სეგრეგირებული ექსპლუატაციის ფორმის მიხედვით;
2. მონაცემები ბრალდებული და მსჯავრდებული პირების შესახებ – რაოდენობა, მოქალაქეობა, ასაკი, სქესი, სასჯელის სახე;
3. მონაცემები ტრეფიკინგის დაზარალებულისა და მსხვერპლის შესახებ – რაოდენობა, მოქალაქეობა, სქესი, ასაკი, ექსპლუატაციის ფორმა, ზრუნვის სააგენტოს რა სახის სერვისებით ისარგებლა (სამედიცინო, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური, თავშესაფარი, კრიზისული ცენტრი, კომპენსაცია);
4. სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი ურთიერთდახმარება და საპოლიციო თანამშრომლობა – ტრეფიკინგის თემაზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შუამდგომლობებისა და ექსტრადიციების რაოდენობა სეგრეგირებული სახელმწიფოთა მიხედვით.

სტატისტიკური ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვით მუდმივად ქვეყნდება იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე: <http://justice.gov.ge/Ministry/Index/357>

დამატებით აღსანიშნავია, რომ რეგისტრირებული დანაშაულის და გამოძიების დაწყების შესახებ სტატისტიკური მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მუშავდება საპილოტე რეჟიმში, ვინაიდან 2019 წლის ბოლოდან ნაწილობრივი ფუნქციონირება დაიწყო სისხლის სამართალწარმოების ელექტრონული სისტემის (Crimcase-2) ახალმა ვერსიამ, რომლის საგამოძიებო უწყებებში გეგმიური დანერგვა, სათანადო გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს ეტაპობრივად. აქედან გამომდინარე, რეგისტრირებული დანაშაულის (ასევე გამოძიების დაწყების) კლასიფიკაციის სტანდარტული სქემის შესაბამისად ერთიანი კონსოლიდირებული სტატისტიკური ანგარიშგების რეპორტის გენერირების მიზნით, ინფორმაციის დამუშავება ამ მომენტისათვის ხორციელდება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი განსხვავებული ვერსიის (Crimcase-1 და Crimcase-2) სისხლის სამართალწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

საქართველოს პროკურატურა მუდმივ რეჟიმში ახორციელებს სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას. 2019 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გამოქვეყნდა ტრეფიკინგის სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი, რომელიც მოიცავს როგორც ბრალდებულის, ისე დაზარალებულის პროფილს და მახასიათებლებს - <http://pog.gov.ge/news/adamianis-uflebaTa-dacvis-sammarTvelom-trefikingis-danashaulebze-angarishi-moamzada>. გამოქვეყნდა, ასევე, საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის ანგარიში, სადაც მითითებულია სეგრეგირებული მონაცემები ტრეფიკინგის დანაშაულზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე. <http://pog.gov.ge/uploads/c7c23efb-generaluri-prokuraturis-saqmianobis-angarishi-2020-compressed.pdf>.

5. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება

ამოცანა 5.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეების გამოძიების დახვეწის მიზნით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების პროფესიული განვითარება

აქტივობა 5.1.1 პროკურორებისა და სტაჟიორ-პროკურორების გადამზადება და ახალი ტენდენციების გაცნობა ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე

ინდიკატორი: გადამზადებული პროკურორებისა და სტაჟიორ-პროკურორების რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წელს ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეების გამოძიების დახვეწის მიზნით განხორციელდა 7 სასწავლო აქტივობა, მათ შორის 3 სასწავლო ვიზიტი, რომლის ფარგლებში გადამზადდა 27 პროკურორი.

2019 წელს სტაჟიორთა მოსამზადებელი კურსის ფარგლებში სტაჟიორთა 2 ჯგუფის 38-მა მსმენელმა სწავლება გაიარა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანასთან ან/და მისთვის საქართველოში უკანონოდ ყოფნისათვის შესაბამისი პირობების შექმნასთან დაკავშირებულ თემებზე.

2020 წლის 10-14 თებერვალს ქ. ბუდაპეშტში ადამიანთა ტრეფიკინგისა და ბავშვთა ექსპლუატაციის თემაზე გამართულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 3-მა პროკურორმა. ტრენინგი ორგანიზებული იყო სამართალდამცავთა საერთაშორისო აკადემიის მიერ (International Law Enforcement Academy (ILEA)).

2020 წლის 6 თებერვალს ქ. კიშინოვში გამართულ რეგიონულ დიალოგში თემაზე „ონლაინ ბავშვთა დაცვა და გაძლიერება“ მონაწილეობა მიიღო 1-მა პროკურორმა. ღონისძიების მიზანი იყო საქართველოს, უკრაინას, მოლდოვასა და ბელორუსიას შორის გამოცდილების გაზიარება ბავშვთა ონლაინ ექსპლუატაციისგან დაცვის თაობაზე. აღნიშნულ დიალოგში მონაწილეობა მიიღეს, ასევე, იუსტიციის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმაც.

2020 წლის 23 აპრილს აშშ-ს საელჩოს ორგანიზებით ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე - "კრიპტოვალუტის გამოყენება, არასრულწლოვანთა პორნოგრაფიისა და ტრეფიკინგის დანაშაულის დროს", რომელშიც მონაწილეობდა 7 პროკურორი, (<https://go.chainalysis.com/human-trafficking-webinar.html>).

2020 წლის 28 მაისს ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე - „ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და ბოროტად გამოყენება COVID-19 პანდემიის დროს.“ მონაწილეობა მიიღო 2-მა პროკურორმა. (<https://www.coe.int/en/web/cybercrime/online-child-sexual-abuse>).

2020 წლის 22 ივლისს აშშ ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და კიბერდანაშაულის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ოპერატიული ინფორმაციის შეგროვება/მოპოვება საჯარო ინტერნეტ რესურსებიდან/სივრცეებიდან, რომელშიც პროკურატურის 18 თანამშრომელი, მათ შორის 13 პროკურორი იღებდა მონაწილეობას. ტრენინგი რელევანტური იყო შემდეგი მიმართულებით მომუშავე პროკურორებისთვის: კიბერდანაშაული, ორგანიზებული დანაშაული; ტრეფიკინგი და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.

2020 წლის 10-14 აგვისტოს აშშ-ს საელჩოსთან თანამშრომლობით ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე - ბავშვთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები (ბავშვთა პორნოგრაფია), რომლის ფარგლებში გადამზადდა 2 პროკურორი. სწავლება მიზნად ისახავდა ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფას, ახალი პრაქტიკული მეთოდების დანერგვას, ახალი კომპიუტერული პროგრამების სწავლებას შემდგომი ვირტუალური გამოძიების წარმოების მიზნით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

2020 წლის 21 აგვისტოს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ დაგეგმილ საერთაშორისო ვირტუალურ კონფერენციაში - „Children and Internet – country response“ საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მონაწილეობას იღებდა პროკურატურის 4 თანამშრომელი, მათ შორის 3 პროკურორი.

2020 წლის 3 ნოემბერს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურაში პროკურორებისთვის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ევროპის საბჭოს HELP-ის პროგრამის ახალი სასწავლო კურსი „ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა და მსხვერპლთა დაცვა“ დაიწყო. აღნიშნული სასწავლო კურსი საქართველოში პირველად დაინერგა და მასში 22-მა პროკურორმა მიიღო მონაწილეობა. კურსი საერთაშორისო და ეროვნული ნაწილისგან შედგებოდა და სამი თვე გაგრძელდა.

2020 წელს ნიდერლანდების საელჩოს ორგანიზებით, პროკურორების ჩართულობით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ტრეფიკინგის მსხვერპლი სისხლის სამართლის პროცესში“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 10-მა პროკურორმა.

აქტივობა 5.1.2 მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორების გადამზადება ტრეფიკინგის საქმეებზე სისხლის სამართალწარმოებაში ეფექტიანად ჩართვის მიზნით

ინდიკატორი: გადამზადებული კოორდინატორების რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წელს ტრეფიკინგის საქმეებზე სისხლის სამართალწარმოებაში ეფექტიანად ჩართვის მიზნით გადამზადება გაიარა პროკურატურის მოწმეთა და დაზარალებულთა 9 კოორდინატორმა, ასევე საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ბავშვთა მათხოვრობა და ექსპლუატაციის სხვა ფორმები, რომლის ფარგლებში გადამზადდა პროკურატურის 2 კოორდინატორი.

2020 წელს იუსტიციის სამინისტროს და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლობით, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის ჩატარდა ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და ფსიქოლოგიური კონსულტაციის საორიენტაციო ტრენინგი. სწავლებაში მონაწილეობას იღებდა პროკურატურის 14 და შინაგან საქმეთა სამინისტროს 10 კოორდინატორი. ტრენინგი ერთობლივი ფორმატის იყო და სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ, ასევე, ზრუნვის სააგენტოს და არასამთავრობო ორგანიზაციების („ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“ და „თანადგომა“) ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები.

აქტივობა 5.1.3. სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მომუშავე პერსონალის გადამზადება მსხვერპლთა/პოტენციურ მსხვერპლთა და დამნაშავეთა გამოვლენის ახალი მეთოდების დანერგვის მიზნით

ინდიკატორი: გადამზადებული პერსონალის რაოდენობა, ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019-2020 წლებში სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში მესაზღვრე-კონტროლიორის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო კურსის ფარგლებში ტრეფიკინგის საკითხებზე გადამზადება გაიარა 48-მა ადამიანმა, ხოლო მესაზღვრე-კონტროლიორთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგი - 32-მა ადამიანმა. სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ტრეფიკინგის თემაზე 2019 წელს გადამზადდა 88, ხოლო 2020 წელს - 53 ადამიანი;

2020 წლის 12-13 ნოემბერს, იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანიზებითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურის საზღვარზე მომუშავე პერსონალისთვის. ტრენინგს უძღვებოდნენ როგორც ქართველი ექსპერტები, ისე FRONTEX-ს მოწვეული ტრენერები. ჯამში გადამზადდა 25 მონაწილე (შსს - 13 და შემოსავლების სამსახური - 12).

აქტივობა 5.1.4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის გამომძიებლების, უზნის ინსპექტორების, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების, რაიონული განყოფილების თანამშრომლების სისტემატური გადამზადება და მათთვის ახალი ტენდენციების გაცნობა ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებისა და მსხვერპლთან/დაზარალებულთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით

ინდიკატორი: გადამზადებული პერსონალის რაოდენობა, ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა; ტრენინგების მონაწილეების მიერ შევსებული შეფასების ფორმების რაოდენობა და მათი შინაარსი

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წლის 16-17 მაისს, ქ. სტრასბურგში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კიბერდანაშაულის სამმართველოს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე „მულტი-სექტორული თანამშრომლობა ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლა“ (სულ 4 მონაწილე). კონფერენციის მიზანი იყო მონაწილე ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

2019 წლის 6 ივნისს, ქ. კიევში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კიევის ოფისის ორგანიზებით გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ახალი ტენდენციები და ექსპლუატაციის ნაკლებად ცნობილი ფორმები“. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს, უკრაინის, მოლდოვისა და ბელორუსიის წარმომადგენლები. საქართველოს მხრიდან ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (1 მონაწილე), საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა (1 მონაწილე) და საქართველოს პროკურატურის (1 მონაწილე) წარმომადგენლებმა (სულ 3 მონაწილე).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი თანამშრომლობით, ამერიკის საელჩოს დაფინანსებით 2019 წლის 25-27 ივნისს, ქ. ბათუმში გაიმართა ტრენინგი „ტრეფიკინგის კურსი: ბავშვთა მათხოვრობა და ექსპლუატაციის სხვა ფორმები“. ტრენინგი განკუთვნილი იყო გამომძიებლებისთვის, პროკურორებისა და სოციალური მუშაკებისთვის. ტრენინგს ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 10 თანამშრომელი (შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი; საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი; იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი; კახეთის პოლიციის დეპარტამენტი; ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტი; მცხეთა-მთიანეთის პოლიციის

დეპარტამენტი; ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი;).

2019 წლის 13-14 ნოემბერს, იუსტიციის სამინისტროს, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENIGMMA 2 პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამუშაო შეხვედრა ევროკავშირის 2 დირექტივაზე: Directive 2011/36/EU of 5 April 2011; Directive 2004/81/EC of 29 April. მონაწილეობა მიიღო ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ადამიანის უფლებების დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის 2-მა წარმომადგენელმა.

2019 წლის 25-27 ნოემბერს, გენერალურ პროკურატურაში ბრიტანელი ექსპერტის მონაწილეობით ჩატარდა იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგი „ტრეფიკინგის საქმეების ფინანსური გამოძიების ძირითადი ასპექტები“. მონაწილეობა მიიღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის, მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და გურიის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა (ჯამში 11 მონაწილე).

იმავე ექსპერტის მონაწილეობით 2019 წლის 28-29 ნოემბერს, გენერალურ პროკურატურაში ჩატარდა ტრენინგი „ეფექტიანი ერთობლივი მოქმედება შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის წინააღმდეგ“. ტრენინგი განკუთვნილი იყო შრომის ინსპექტორებისა და სამართალდამცავებისთვის. მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის, მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა (10 მონაწილე).

2020 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) თემატიკაზე გადამზადდა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს 4 თანამშრომელი.

2020 წლის 6 თებერვალს, მოლდოვაში, ქ.კიშინიოვში, შსს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში - ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია(2 მონაწილე). შეხვედრის მიზანი იყო მონაწილე ქვეყნებს

შორის საქართველოს, უკრაინის, მოლდოვისა და ბელორუსიის გამოცდილების გაზიარება ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

2020 წლის 10-14 თებერვალს, ბუდაპეშტში, საერთაშორისო სამართალდამცავი აკადემიის (ILEA) ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი ადამიანის ტრეფიკინგისა და ბავშვთა ექსპლუატაციის საკითხებზე. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა (სულ 5 მონაწილე).

2020 წლის 17 ნოემბერს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) და ინტერპოლის ორგანიზებით გაიმართა ონლაინ შეხვედრა „სპეციალური მიდგომები ტრეფიკინგისა მსხვერპლებთან სამუშაოდ“. შეხვედრაში მონაწილეობდნენ თბილისის პოლიციის და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტების წარმომადგენლები (3 მონაწილე). ონლაინ შეხვედრაზე განიხილეს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის ტრეფიკინგის მსხვერპლებთან სამუშაოდ ადაპტირებული მიდგომები და ხერხები.

2019-2020 წლებში წელს ტრეფიკინგის თემაზე შსს აკადემიაში მომზადდა/გადამზადდა:

- კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცერთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 61 მონაწილე;
- ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სასწავლო პროგრამა - 97 მონაწილე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა თანამდებობრივი დაწინაურების საგანმანათლებლო პროგრამა - 2019 წელს 95 მონაწილე, 2020 წელს - 53;

შსს აკადემიაში მუდმივად მიმდინარეობს პოლიციელთა ცნობიერების ამაღლება ტრეფიკინგის სწავლების კუთხით და მოიცავს შემდეგ თემატიკას:

- ტრეფიკინგი და ტრეფიკინგის მხვერპლთა იდენტიფიცირება;
- ადამიანით ვაჭრობა და ადამიანის უკანონო გადაყვანა;
- ხელშემწყობი ფაქტორები და გამომწვევი მიზეზები;
- ეტაპები და მეთოდები;
- სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია;
- შიდა სახელმწიფოებრივი ტრეფიკინგი;
- ტრეფიკიორთა მარშრუტი;
- ინდიკატორები და ინტერვიუ;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეფერალური მექანიზმები.

აქტივობა 5.1.5 სპეციალისტების ჯგუფის წევრების (Task Force) გადამზადება ტრეფიკინგის თემაზე და მათთვის ახალი ტენდენციების გაცნობა სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოვლენასა და მათთან მოპყრობასთან დაკავშირებით

ინდიკატორი: გადამზადებული პერსონალის რაოდენობა, ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა

სტატუსი: სრულად შესრულდა

5.1.4 აქტივობაში მითითებულ ტრენინგში, რომელიც განხორციელდა 2019 წლის 25-27 ივნისს, თემაზე „ტრეფიკინგის კურსი: ბავშვთა მათხოვრობა და ექსპლუატაციის სხვა ფორმები,“ მონაწილეობა მიიღო Task Force-ს 2-მა პროკურორმა და 2-მა გამომძიებელმა.

5.1.4 აქტივობაში მითითებულ ტრენინგებში, რომლებიც განხორციელდა 2019 წლის 25-27 და 28-29 ნოემბერს, მონაწილეობა მიიღო Task Force -ს 5-მა წარმომადგენელმა (2 პროკურორი და 3 გამომძიებელი).

2020 წლის 10-14 თებერვალს ქ. ბუდაპეშტში ადამიანთა ტრეფიკინგისა და ბავშვთა ექსპლუატაციის თემაზე გამართულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 3-მა პროკურორმა, მათ შორის სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) 2 წევრმა და 5-მა გამომძიებელმა, მათ შორის სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) გამომძიებლებმა. ტრენინგი ორგანიზებული იყო სამართალდამცავთა საერთაშორისო აკადემიის მიერ (International Law Enforcement Academy (ILEA)).

2020 წლის 23 აპრილს აშშ-ს საელჩოს ორგანიზებით ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე - "კრიპტოვალუტის გამოყენება, არასრულწლოვანთა პორნოგრაფიისა და ტრეფიკინგის დანაშაულის დროს", რომელშიც მონაწილეობდა 7 პროკურორი, მათ შორის სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) 2 წევრი.

2020 წლის 22 ივლისს აშშ ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და კიბერდანაშაულის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ოპერატიული ინფორმაციის შეგროვება/მოპოვება საჯარო ინტერნეტ რესურსებიდან/სივრცეიდან, რომელშიც სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) 1 პროკურორი იღებდა მონაწილეობას.

2020 წლის 3 ნოემბერს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით პროკურორებისთვის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ევროპის საბჭოს HELP-ის პროგრამის ახალი 3-თვიანი სასწავლო კურსში თემაზე „ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა და მსხვერპლთა დაცვა“ მონაწილეობა მიიღო Task Force-ს 1-მა პროკურორმა.

აქტივობა 5.1.6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე

ინდიკატორი: გადამზადებული პერსონალის რაოდენობა, ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წლის 13-14 ნოემბერს, ევროკავშირის 2 დირექტივაზე, Directive 2011/36/EU of 5 April 2011; Directive 2004/81/EC of 29 April, გამართულ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო მიგრაციის დეპარტამენტის 1-მა წარმომადგენელმა.

ამოცანა 5.2. სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება

აქტივობა 5.2.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე მოსამართლეებისა და მათი თანაშემწეების გადამზადება

ინდიკატორი: გადამზადებული მოსამართლეებისა და მოსამართლეთა თანაშემწეების რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა;

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით შემუშავებული სასწავლო მოდულის საფუძველზე, 2019 წელს ჩაატარა 1 ტრენინგი მოსამართლეებისთვის, რომელსაც დაესწრო 9 მოსამართლე; ასევე 1 ტრენინგი მოსამართლის თანაშემწეებისთვის, რომელსაც დაესწრო სასამართლოს 17 მოხელე.

COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პრევენციის მიზნით დაწესებული სახელმწიფო რეგულაციების გათვალისწინებით 2020 წელს დაგეგმილი ტრენინგები ჩატარდება 2021 წელს.

ამოცანა 5.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

აქტივობა 5.3.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის პერსონალის უნარ-ჩვევების ამაღლება ტრენინგების გზით

ინდიკატორი: გადამზადებული პერსონალის რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა;

სტატუსი: სრულად შესრულდა

5.1.4. აქტივობაში მითითებულ ტრენინგში, რომელიც გაიმართა 2019 წლის 25-27 ივნისს, თემაზე „ტრეფიკინგის კურსი: ბავშვთა მათხოვრობა და ექსპლუატაციის სხვა ფორმები“ მონაწილეობა მიიღო ფონდის სტრუქტურული ერთეულების: ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი), ოზურგეთის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრის და ბათუმის ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) სოციალურმა მუშაკებმა (ჯამში გადამზადდა 3 სპეციალისტი).

2019 წლის 5 ნოემბერს ფონდის ორგანიზებით ფონდის სტრუქტურული ერთეულების (თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი) თანამშრომლებისათვის გამართულ ტრენინგში, „ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა (ეროვნულ რეფერალური მექანიზმი), არსებული გამოწვევები, სამართლებრივი რეგულაციები და მსხვერპლთა დაცვის სახელმწიფო სტანდარტები,“ მონაწილეობა მიიღეს ბათუმის ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) და ოზურგეთის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის თანამშრომლებმა (სულ 6 მონაწილე).

2019 წლის 13-14 ნოემბერს ევროკავშირის 2 დირექტივაზე, Directive 2011/36/EU of 5 April 2011; Directive 2004/81/EC of 29 April, გამართულ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ფონდის ცენტრალური აპარატის, თბილისის ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) და თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის თანამშრომლებმა (3 მონაწილე).

2019 წლის 13 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) ორგანიზებით გამართულ ტრენინგში: „Trauma Informed Approach to Identification of Victims of Trafficking“, მონაწილეობა მიიღეს ფონდის ცენტრალური აპარატის, თბილისის ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) და ბათუმის ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) თანამშრომლებმა (სულ 5 მონაწილე). ტრენინგი განკუთვნილი იყო მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუდმივმოქმედი ჯგუფისა და ფონდის თანამშრომლებისთვის.

2020 წლის 21-28 აპრილს ზრუნვის სააგენტოს ორგანიზებით თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი ეპიდემიოლოგთან, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ძალადობის მსხვერპლთა

მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები) 11-მა თანამშრომელმა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ორგანიზებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტის ENIGMMA 2 ფარგლებში 2020 წლის 28-29 სექტემბერს გაიმართა ტრენინგი "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლთან ინტერაქციის ფსიქოლოგიური ასპექტები". ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სააგენტოს ცენტრალური აპარატისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრები/კრიზისული ცენტრები) 6-მა თანამშრომელმა. ტრენინგი ასევე განკუთვნილი იყო ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებით 2020 წლის 25 ნოემბერს “ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და ფსიქოლოგიური კონსულტაციის საორიენტაციო ონლაინ ტრენინგი“ ჩატარდა. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ზრუნვის სააგენტოს თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების 7-მა თანამშრომელმა.

ამოცანა 5.4 შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

აქტივობა 5.4.1 იძულებითი შრომის და შრომითი ექსპლუატაციის გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)თემაზე

ინდიკატორი: გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა;

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წლის 19 აპრილს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში, იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის განმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით ახალი შრომის ინსპექტორებისთვის ჩატარდა საბაზისო ტრენინგი თემაზე „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოში და თანამედროვე ტენდენციები.“ ტრენინგი ჩატარეს იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და ფონდის წარმომადგენლებმა. გადამზადდა 21 შრომის ინსპექტორი.

5.1.4 აქტივობაში მითითებულ ტრენინგში, რომელიც გაიმართა 2019 წლის 28-29 ნოემბერს, თემაზე „ეფექტიანი ერთობლივი მოქმედება შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის წინააღმდეგ,“ მონაწილეობა მიიღო 10-მა შრომის ინსპექტორმა.

2020 წელს 60-მდე ახალ შრომის ინსპექტორს ჩაუტარდა საბაზისო ტრენინგები, მათ შორის იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის თემაზე. ტრენინგს უძღვებოდნენ ადგილობრივი და ევროკავშირის დამოხილვების(Twinning) პროექტის ექსპერტები.

ამოცანა 5.5. საკონსულოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

აქტივობა 5.5.1 საკონსულოს თანამშრომელთა გადამზადება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთა მოპყრობისა და დახმარების საკითხთან დაკავშირებით

ინდიკატორი: გადამზადებული პერსონალის რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა;

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2019 წლის 4-8 თებერვალს ქ. თბილისში ორგანიზებულ საკონსულო თანამდებობის პირთა საკოორდინაციო შეხვედრაზე (კონსოლარიუმზე) 22 საკონსულო თანამდებობის პირს ტრენინგი ჩაუტარდა ტრეფიკინგის (სავარაუდო) მსხვერპლთა/დაზარალებულთა მოპყრობის, მათი დახმარების, კონსულტაციებისა და რეფერირების საკითხებთან დაკავშირებით.

საკონსულო თანამდებობის პირთა საკოორდინაციო შეხვედრა, რომელიც დაგეგმილი იყო 2020 წლის 23 მარტი - 3 აპრილს და გათვალისწინებული იყო, სხვა საკითხებთან ერთად, ტრეფიკინგის დანაშაულის განხილვაც, COVID-19 გავრცელებასთან დაკავშირებული გართულებების გამო გადაიდო.

2020 წლის 24 ივნისს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა „ტრეფიკინგის სახელმძღვანელო საკონსულო თანამდებობის პირებისათვის“. სახელმძღვანელო მომზადდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და ევროკავშირის მხარდაჭერით, საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით. ინსტრუქციული ხასიათის პუბლიკაცია განკუთვნილია საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირებისათვის და მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა ტრეფიკინგის დანაშაულის ბუნება, სამართლებრივი ჩარჩო, რეფერალური მექანიზმები, ჩასატარებელ მოქმედებათა დეტალური აღწერილობა და სხვა.

საგარეო საქმეთა მინისტრის 2020 წლის 26 მაისის N.01-95 ბრძანებით აღნიშნული სახელმძღვანელო დამტკიცდა საკონსულო თანამდებობის პირების სამსახურებრივი სარგებლობისათვის.

ამოცანა 5.6. მედიის წარმომადგენლების პროფესიული განვითარება

აქტივობა 5.6.1 მედიის წარმომადგენლების გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

ინდიკატორი: გადამზადებული პერსონალის რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა;

სტატუსი: არ შესრულდა

ტრენინგი ტრეფიკინგის თემაზე მედიის წარმომადგენლებისთვის უნდა განხორციელებულიყო 2020 წელს, თუმცა COVID-19-ით გამოწვეული პანდემიისა და მისი პრევენციის მიზნით დადგენილი სახელმწიფო რეგულაციების გათვალისწინებით, ტრენინგი გადაიდო.

ამოცანა 5.7. იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

აქტივობა 5.7.1 ტრენინგების გზით იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

ინდიკატორი: გადამზადებული პერსონალის რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა;

სტატუსი: სრულად შესრულდა

2020 წლის 14 დეკემბერს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე "იურიდიული მექანიზმები და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე ტენდენციები". ტრენინგი ჩატარდა იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ზოგადი სააგენტოს წარმომადგენლების მიერ, მიგრაციის პოლიტიკის განვითარებისა საერთაშორისო ცენტრის მხარდაჭერით. მონაწილეთა რაოდენობა 36.

ამოცანა 5.8 იუსტიციის სახლების, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

აქტივობა 5.8.1 ტრენინგების გზით იუსტიციის სახლების, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

ინდიკატორი: გადამზადებული პერსონალის რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა;

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წლის 13-14 ნოემბერს, იუსტიციის სამინისტროს, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENIGMMA 2 პროექტის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაო შეხვედრაში ევროკავშირის 2 დირექტივაზე: Directive 2011/36/EU of 5 April 2011; Directive 2004/81/EC of 29 April, მონაწილეობა მიიღო სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 6-მა წარმომადგენელმა.

2020 წლის 26 დეკემბერს იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ერთობლივი ორგანიზებით, ონლაინ ფორმატში, ტრეფიკინგის თემაზე გადამზადდა იუსტიციის სახლებისა და საზოგადოებრივი ცენტრების 26 თანამშრომელი.

ამოცანა 5.9. სამედიცინო სერვისების მიმწოდებლების პროფესიული განვითარება

აქტივობა 5.9.1 სამედიცინო სერვისების მიმწოდებლებისთვის ტრენინგების გზით კვალიფიკაციის ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

ინდიკატორი: გადამზადებული პერსონალის რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა;

სტატუსი: არ შესრულდა

ტრენინგი ტრეფიკინგის თემაზე სამედიცინო პერსონალის წარმომადგენლებისთვის უნდა განხორციელებულიყო 2020 წელს, თუმცა COVID-19-ით ამოწვეული პანდემიისა და მისი პრევენციის მიზნით დადგენილი სახელმწიფო რეგულაციების გათვალისწინებით, ტრენინგი გადაიდო.

ამოცანა 5.10. შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

აქტივობა 5.10.1 ტრენინგების გზით შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება დამნაშავეთა გამოვლენის მიზნით

ინდიკატორი: გადამზადებული პერსონალის რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა;

სტატუსი: სრულად შესრულდა

2020 წლის 12-13 ნოემბერს, იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანიზებითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ტრენინგი ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურის საზღვარზე მომუშავე პერსონალისთვის. ტრენინგს უძღვებოდნენ როგორც ქართველი ექსპერტები, ისე FRONTEX-ს მოწვეული ტრენერები. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში მომუშავე 12 ადამიანი.

ამოცანა 5.11. საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქართველი სამხედროების პროფესიული განვითარება

აქტივობა 5.11.1 საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქართველი სამხედროების მომზადება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულების იდენტიფიცირების, მათთან მოპყრობის, მათი დახმარებისა და რეფერირების საკითხებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი: გადამზადებული პერსონალის რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა;

სტატუსი: სრულად შესრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ფონდის წარმომადგენლებმა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქართველი სამხედროებისთვის ტრეფიკინგის თემაზე ტრენინგები ჩაატარეს 2019 წლის 9, 10, 11, 18 და 26 ივლისს. ჯამში გადამზადდა 500 სამხედრო მოსამსახურე.

2020 წლის 17 თებერვალს, 17 ივლისს და 8 სექტემბერს იუსტიციის სამინისტროს და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქართველი სამხედროებისთვის ჩატარდა ტრენინგი ტრეფიკინგის თემაზე. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის

სახელმწიფო პოლიტიკაზე, საკანონმდებლო რეგულაციებზე, ტრეფიკინგისგან დაცვის ხერხებზე, ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის არსებულ სახელმწიფო მომსახურებებზე/სააგენტოს სერვისებზე და ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის დამახასიათებელ ინდიკატორებზე (ჯამში 360 მონაწილე).

დამატებით, 2020 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე თავდაცვის სამინისტრომ გადაამზადა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე 800 სამხედრო მოსამსახურე.

ამოცანა 5.12 ქუჩაში მცხოვრები ან/და ქუჩაში მომუშავე ბავშვთა ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ერთობლივი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება

აქტივობა 5.12.1 ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის განხილვა/ ანალიზი ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების მიზნით

ინდიკატორი: გამართული შეხვედრების რაოდენობა და განხილული საკითხების თემატიკა;

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წელს შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის, პრევენციისა და აღკვეთის 2019 წლის სამოქმედო გეგმა, რომლითაც განისაზღვრა სამუშაო ჯგუფში შემავალი ყველა უწყების (შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, სოციალური მომსახურების სააგენტო და ფონდი) მიერ შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის, აღკვეთისა და პრევენციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები და აღნიშნული ღონისძიებების შესრულების კონკრეტული ვადები.

2019 წელს გაიმართა სამუშაო ჯგუფის ორი შეხვედრა ქ.თბილისსა და ქ. ბათუმში. შეხვედრის ფარგლებში უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით, განხილულ იქნა სამუშაო გეგმის შესრულების პროგრესი, არსებული გამოწვევები. აგრეთვე, ყველა უწყებამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ანგარიში.

2020 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებით გაიმართა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის, პრევენციისა და აღკვეთის სამუშაო ჯგუფის ონლაინ შეხვედრა, სადაც სახელმწიფო უწყებების (პროკურატურა, შსს, იუსტიციის სამინისტრო, ზრუნვის სააგენტო, შრომის ინსპექცია) მიერ განხილულ იქნა შრომითი ტრეფიკინგის

მიმართულებით გატარებული ღონისძიებები. შეხვედრაზე განხილულ იქნა შრომითი ტრეფიკინგის სამუშაო გეგმის შესრულების პროგრესი, არსებული გამოწვევები. აგრეთვე, ყველა უწყებამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ანგარიში.

ამოცანა 5.13. იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების ეფექტიანი გამოვლენის მიზნით ერთობლივი კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს (შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო) თანამშრომლებისთვის

აქტივობა 5.13.1 ერთობლივი ტრენინგების განხორციელება იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების გამოვლენისა და მსხვერპლთა დაცვის საკითხებზე

ინდიკატორი: ჩატარებული ტრენინგებისა და მონაწილე პირების რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი თანამშრომლობით, ამერიკის საელჩოს დაფინანსებით 2019 წლის 25-27 ივნისს, ქ. ბათუმში გაიმართა ტრენინგი „ტრეფიკინგის კურსი: ბავშვთა მათხოვრობა და ექსპლუატაციის სხვა ფორმები.“ ტრენინგი განკუთვნილი იყო გამომძიებლებისთვის, პროკურორებისა და სოციალური მუშაკებისთვის (ჯამში 28 მონაწილე).

2019 წლის 28-29 ნოემბერს, გენერალური პროკურატურაში ბრიტანელი ექსპერტის მონაწილეობით ჩატარდა იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მეორე ორგანიზებული ტრენინგი „ეფექტიანი ერთობლივი მოქმედება შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის წინააღმდეგ“. ტრენინგი განკუთვნილი იყო შრომის ინსპექტორებისთვის, გამომძიებლებისთვის და პროკურორებისთვის (ჯამში 27 მონაწილე).

6. თანამშრომლობა და შიდა კოორდინაცია

ამოცანა 6.1 სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ინფორმაციის შეგროვება

აქტივობა 6.1.1. წელიწადში ერთხელ ხოლო საბჭოს სამდივნოს მოთხოვნის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში დადგენილ ვადაზე ადრე სახელმწიფო სტრუქტურების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე საბჭოს სამდივნოსთვის ინფორმაციის მიწოდება პერიოდული ანგარიშის მომზადებისა და გამოქვეყნების მიზნით

ინდიკატორი: მომზადებული და გამოქვეყნებული პერიოდული ანგარიშები

სტატუსი: სრულად შესრულდა

2019 წელს საბჭოს სამდივნო საერთაშორისო თუ ეროვნული დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ანგარიშების მომზადების მიზნით პერიოდულად ითხოვდა ინფორმაციას სხვადასხვა უწყებისგან ტრეფიკინგის კუთხით განხორციელებული აქტივობების თაობაზე.

2019 წლის დასაწყისში საბჭოს სამდივნომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2-წლიანი ანგარიშის მომზადების მიზნით წევრი და პარტნიორი სამთავრობო უწყებებისაგან გამოითხოვა ინფორმაცია სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შესახებ. შედეგად მომზადდა და იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ. გვერდზე გამოქვეყნდა შესრულების ანგარიში <https://www.justice.gov.ge/Ministry/Index/334>. 2020 წელს, საბჭოს სამდივნოს მიერ, ასევე, მომზადდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2019 წლის ანგარიში.

2020 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით და ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის 2-წლიანი და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2019 წლის სეგმენტის შესრულების შეფასება 2 დამოუკიდებელი ექსპერტის (ქართველი და უცხოელი) მიერ. შეფასების ფარგლებში განხორციელდა ინტერვიუები სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებთან, ასევე, სახალხო დამცველის აპარატთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ანგარიშის საბოლოო ვერსია ხელმისაწვდომი იქნება 2021 წლის პირველ ნახევარში.

ამასთან, საბჭოს სამდივნომ 2019-2020 წლებში პერიოდულად უზრუნველყო საქართველოში აშშ-ის საელჩოსათვის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შევსებული კითხვარის მიწოდება 2018-2019, 2019-2020 და 2020-2021 (2020 წლის 1-ელი აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე) წლების ანგარიშის მოსამზადებლად¹³. ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ამერიკის საანგარიშო პერიოდში საქართველოს მიერ ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

გარდა ამისა, საბჭოს სამდივნო პერიოდულად ითხოვდა ინფორმაციას შესაბამისი უწყებებისგან ტრეფიკინგის თაობაზე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისათვის ინფორმაციისა თუ ანგარიშების მიწოდების მიზნით. შედეგად, 2019-2020 წლებში :

- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთვის მომზადდა ინფორმაცია ბავშვთა შრომითი ექსპლუატაციის თემაზე 2019 და 2020 წლების კითხვარის საფუძველზე;
- ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფისათვის (GRETA) მომზადდა ანგარიში ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საქართველოს მესამე რაუნდის შეფასების მიზნით;
- ეუთოს სპეციალური კითხვარის საფუძველზე მომზადდა ანგარიში - Survey on the implementation of the OSCE Action Plan to Combat Trafficking in Human Beings (2003);
- ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულთან ბრძოლის ოფისის (UNODC) 2020 წლის გლობალური ანგარიშისთვის საქართველოს პროფილის თაობაზე მომზადებულ ინფორმაციაზე კომენტარების წარედგინა და 2019 წლის სტატისტიკური მონაცემები მიეწოდა გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისს (UNODC).

აქტივობა 6.1.2 ტრეფიკინგის ახალი გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, განაჩენის დადგენის და პირისათვის ტრეფიკინგის მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მინიჭების თაობაზე საბჭოს სამდივნოსთვის ინფორმაციის პროაქტიული შეტყობინება

ინდიკატორი: შემუშავებული და გამოქვეყნებული სტატისტიკა

სტატუსი: სრულად შესრულდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და ზრუნვის სააგენტოს მიერ საბჭოს სამდივნოსთვის ინფორმაციის პროაქტიულად მიწოდების საფუძველზე სამდივნო აწარმოებს ერთიან სეგრეგირებულ სტატისტიკას ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, სასამართლოში

¹³ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე ამერიკის საანგარიშო პერიოდი მოიცავს შუალედს ყოველი წლის 1 აპრილიდან მომდევნო წლის 31 მარტის ჩათვლით.

გაგზავნილი საქმეების, მსჯავრდებისა და მსჯავრდებულთა, მსხვერპლებისა დაზარალებულების თაობაზე.

სტატისტიკური ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვით მუდმივად ქვეყნდება იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე: <http://justice.gov.ge/Ministry/Index/357>

ამოცანა 6.2 არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება

აქტივობა 6.2.1. ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების გზით სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის გაღრმავება სამოქალაქო საზოგადოებასთან

ინდიკატორი: სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ერთობლივად განხორციელებული აქტივობები

სტატუსი: სრულად შესრულდა

საბჭოს წევრი სამთავრობო უწყებები აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ტრეფიკინგის კუთხით პრევენციული, კვალიფიკაციის ამაღლების თუ სხვა სახის ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების კუთხით *(დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ინფორმაცია პრევენციის (მიზანი 2) და კვალიფიკაციის ამაღლების (მიზანი 5) მიზნების ქვეშ არსებული აქტივობების შესრულების თაობაზე ინფორმაცია).*

გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროსა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის (ODIHR) მჭიდრო თანამშრომლობით, 2019 წლის 13 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული არქივის კინოდარბაზში განხორციელდა ფილმის ჩვენება „LOVE SONIA“ და დისკუსია. მოწვეულნი იყვნენ როგორც სამთავრობო უწყებები, ისე პარტნიორი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე სტუდენტები.

არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად არიან, ასევე, ჩართული ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის განხორციელებასა თუ საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების პროცესში. კერძოდ, 2019 წელს საბჭოს ფარგლებში შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი ერთი მხრივ, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში, ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის და დაზარალებულთათვის ერთჯერადი სახელმწიფო კომპენსაციის უფრო მეტად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მეორე მხრივ, კი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 აპრილის N284 დადგენილებაში, საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის საქმიანობის წესის გაუმჯობესების მიზნით. ცვლილებების პროექტის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, ა/ო „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,“ ა/ო „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი,“ ა/ო „სამოქალაქო განვითარების სააგენტო,“ ა/ო „თანადგომა.

ცვლილებების პროექტი საბჭომ დაამტკიცა 2019 წლის 24 დეკემბერს გამართულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც საბჭოს წევრი სამთავრობო უწყებები, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე, ამერიკის საელჩო. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტში, ხოლო მისი მიღების შემდეგ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი წარედგინება საქართველოს მთავრობას მიღების მიზნით. გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, საბჭოს წევრი და საბჭოს არაწევრი პარტნიორი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულნი იყვნენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ახალი, 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავებაში, რომელიც საბჭომ 2020 წლის 2 დეკემბერს დაამტკიცა (დეტალური ინფორმაცია მოცემულია 6.4.1. აქტივობის ქვეშ).

ბავშვის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებს (გაეროს ბავშვთა ფონდი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ა/ო „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის,“ ა/ო „ბავშვთა კეთილდღეობის ლიგა,“ მიუსაფარ ბავშვთათვის მხარდამჭერი სერვისების მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები), ასევე, ეთხოვათ ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ძალადობისგან, მათ შორის ტრეფიკინგისგან დაცვის მიზნით შესამუშავებელი სტრატეგიისთვის (2021-2025 წლებისთვის) სიტუაციის ანალიზში მონაწილეობა და რეკომენდაციების მოწოდება. მათ ხედვა სფეროში არსებული გამოწვევების თაობაზე და რეკომენდაციები საფუძვლად დაედო სტრატეგიის პროექტის შემუშავებას.

დამატებით, როგორც 6.1.1 აქტივობის ქვეშ აღინიშნა, 2020 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით და ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის 2-წლიანი და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2019 წლის სეგმენტის შესრულების შეფასება 2 დამოუკიდებელი ექსპერტის (ქართველი და უცხოელი) მიერ.

აქტივობა 6.2.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საჭიროების შემთხვევაში მემორანდუმების განახლება ან/და გაფორმება

ინდიკატორი: გაფორმებული/განახლებული მემორანდუმები

სტატუსი: სრულად შესრულდა

ზრუნვის სააგენტო მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში 2019-2020 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა და უკვე არსებული მემორანდუმები განაახლა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში ჩართულ შემდეგ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან:

- ა/ოსაქართველოს ქალთა დასაქმების ხელშეწყობი ასოციაცია „ამაგდარი“;
- ა(ა)იპ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“.
- ა/ო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- ა/ო ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი;
- ა/ო ქალთა საინფორმაციო ცენტრი;
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

აქტივობა 6.2.3 ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სფეროში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით სამოქალაქო პლატფორმის შექმნა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შექმნილი სამოქალაქო პლატფორმა

ინდიკატორი: არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შექმნილი სამოქალაქო პლატფორმა

სტატუსი: არ შესრულდა

სამოქალაქო პლატფორმის შექმნა მიზნად ისახავდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მეტად ჩართულობას ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, თუმცა ვიანიდან არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მუშაობენ საქართველოში, არ არის ბევრი და მათი უმრავლესობა წარმოდგენილია ტრეფიკინგთან ბრძოლის საკოორდინაციო საბჭოში, დამატებითი პლატფორმის შექმნის საჭიროება არ დამდგარა.

ამოცანა 6.3.ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

აქტივობა 6.3.1. პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით

ინდიკატორი: სამთავრობათაშორისო შეხვედრების რაოდენობა; გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გადრმავების მიზნით დანაშაულთან ბრძოლის, მიგრაციისა და რეადმისიის საკითხებზე შს სამინისტრომ 2019-2020 წლებში გააფორმა შემდეგი საერთაშორისო დოკუმენტები:

1. განზრახვის წერილი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კატარის სახელმწიფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. დოჰაში 2019 წლის 15 იანვარს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
2. ადმინისტრაციული შეთანხმება „საქართველოს ვიცე-პრემიერს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ოპერატიული საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერებისა და საფრანგეთში მივლენილი ქართველი პოლიციელების მიღების შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2019 წლის 10 მაისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
3. შეთანხმება „საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის დანაშაულთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2019 წლის 10 ივლისს, ძალაშია 2021 წლის 1-ელი მარტიდან;
4. ოქმი „საქართველოს მთავრობასა და ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2019 წლის 10 ივლისს, ძალაშია 2020 წლის 1-ელი ივლისიდან;
5. ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შვეიცარიის მართლმსაჯულებისა და პოლიციის ფედერალურ დეპარტამენტს შორის მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2019 წლის 16 სექტემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
6. ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის პრომეთეს პროექტის ფარგლებში საფრანგეთში (ფრანგულ აეროპორტებში) ქართველი პოლიციელების წარგზავნის შესახებ“ – ხელმოწერილია 2020 წლის 24 იანვარს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
7. პარტნიორობის შესახებ განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ესპანეთის სამეფოს უსაფრთხოების სახელმწიფო სამდივნოს (სამოქალაქო გვარდიის გენერალური დირექტორატი) შორის ორგანიზებული დანაშაულის თაობაზე ერთობლივი ანალიზის ჯგუფის შექმნის შესახებ“ – ხელმოწერილია 2020 წლის 15 სექტემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
8. საქართველოსა და საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის 2019 წლის მაისში ხელმოწერილი ადმინისტრაციული შეთანხმების ფარგლებში, 2019-2020 წლებში რეგულარულად 6 თვის ვადით ხორციელდება შს სამინისტროს თანამშრომელთა მივლენა საფრანგეთში (აღნიშნულ წლებში სულ განხორციელდა ორი მივლენა: პირველ ჯერზე - 3

თანამშრომელი, მეორე ჯერზე - 2 თანამშრომელი), რაც მიზნად ისახავს საფრანგეთის სამართალდამცავი ორგანოების დახმარებას ქართული წარმომავლობის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში.

2019 წლის 26-29 ნოემბერს შედგა საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის უფროსის ოფიციალური ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარებში. შეხვედრის მიზანი იყო სახელმწიფო საზღვარზე არსებული სიტუაციის შეფასება, პრობლემური საკითხების არსებობის შემთხვევაში მათი გადაწყვეტის შესაძლო გზების განხილვა და ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება. ვიზიტის დროს ხელი მოეწერა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციასა და სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარებს შორის სასაზღვრო სფეროში 2020 წლის ერთობლივ ღონისძიებათა გეგმას“. ხელმოწერილი გეგმის თანახმად, მონაცვლეობით საქართველოსა და სომხეთში ჩატარდება ორი ღონისძიება - საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის, საერთაშორისო თანამშრომლობის და პროექტების მართვის სფეროში. ასევე, გამოცდილება იქნება გაზიარებული სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და კინოლოგიის სფეროში.

გარდა ამისა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველომ სხვა ქვეყნებს გამოცდილება გაუზიარა შემდეგი ღონისძიებების ფარგლებში:

- 2019 წლის 16-17 მაისს, ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია, თემაზე “Multi-sectorial co-operation to prevent and combat online child sexual exploitation and abuse” (საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მონაწილე ქვეყნებს გაუზიარა გამოცდილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებთან დაკავშირებით);
- 2019 წლის 3-4 ივნისს, მიგრაციის ევროპული ქსელის (European Migration Network) რიგით მე-15 კონფერენცია (საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მონაწილე ქვეყნებს გაუზიარა ქვეყნის პოლიტიკა და გამოცდილება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში);
- 2019 წლის 6 ივნისს, ქ. კიევში დაგეგმილი რეგიონულ კონფერენცია „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ახალი ტენდენციები და ექსპლუატაციის ნაკლებად ცნობილი ფორმები“;
- 2019 წლის 28-29 მაისს და 9-11 დეკემბერს ეუთოს ეგიდით ორგანიზებული სამუშაო შეხვედრები ტრეფიკინგის თემაზე ეროვნული რეფერალური მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკების თაობაზე ეუთოს ეგიდით მიღებული სახელმძღვანელო დოკუმენტის განახლების მიზნით;
- 2019 წლის 17-18 სექტემბერს უზბეკეთში, უზბეკი პროკურორებისთვის გამართული ტრენინგის ფარგლებში ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების თაობაზე.

- 2019 წის 5 ნოემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უმასპინძლა უზბეკეთის რესპუბლიკის დელეგაციას მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციისა და ეროვნული ნაციონალიზაციის პროცესის თაობაზე გამოცდილების გაზიარების მიზნით; ვიზიტის ფარგლებში საბჭოს სამდივნოს წარმომადგენელმა უზბეკეთის დელეგაციას გამოცდილება გაუზიარა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ქართული პოლიტიკის თაობაზე;

2020 წელს, COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო გამოცდილების გაზიარების მიზნით საერთაშორისო ღონისძიებები შეზღუდული რაოდენობით ჩატარდა, ძირითადად ონლაინ ფორმატში. 2020 წელს საქართველომ ტრეფიკინგის მიმართულებით სხვა ქვეყნებს გამოცდილება გაუზიარა შემდეგი ღონისძიებების ფარგლებში:

- 2020 წლის 6 თებერვალს ქ. კიშინოვში გამართულ რეგიონულ დიალოგში თემაზე „ონლაინ ბავშვთა დაცვა და გაძლიერება“ მონაწილეობა მიიღეს იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა. ღონისძიების მიზანი იყო საქართველოს, უკრაინას, მოლდოვასა და ბელორუსიას შორის გამოცდილების გაზიარება ბავშვთა ონლაინ ექსპლუატაციისგან დაცვის თაობაზე.
- 2020 წლის 23 მარტს იუსტიციის სამინისტრომ ონლაინ ფორმატში (ელ. ფოსტის მეშვეობით) გამოცდილება გაუზიარა საფრანგეთის ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტს (French National Human Rights Institution (CNCDH)), ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და დაცვის ეროვნულ რეფერალურ მექანიზმზე. აღნიშნული ინსტიტუტი მუშაობს საფრანგეთში ეფექტიანი ეროვნული რეფერალური მექანიზმის შექმნის თაობაზე სარეკომენდაციო მოსაზრების შემუშავებაზე საფრანგეთის მთავრობისთვის წარსადგენად და სწორედ ამ მიზნით დაინტერესდნენ საქართველოს გამოცდილებით.
- 2020 წლის 21 აგვისტოს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ დაგეგმილი საერთაშორისო ვირტუალური კონფერენციის ფარგლებში - „Children and Internet – country response“ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უკრაინელ კოლეგებს გაუზიარა საქართველოს გამოცდილება ონლაინ ბავშვთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. კონფერენცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციას და ამ დანაშაულის მსხვერპლ ბავშვთა დახმარებას.

ამოცანა 6.4. ახალი სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადება და დამტკიცება

აქტივობა 6.4.1. საკოორდინაციო საბჭოს მიერ ტრეფიკინგთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა; სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება და საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა

ინდიკატორი: შექმნილი სამუშაო ჯგუფი; შემუშავებული სამოქმედო გეგმის პროექტი; საბჭოს მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა

სტატუსი: სრულად შესრულდა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭომ დაამტკიცა 2020 წლის 2 დეკემბერს. 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავების მიზნით საბჭოს ფარგლებში სამთავრობო უწყებებისგან შემდგარმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა გეგმის პროექტის პირველადი ვერსია, რომელიც კომენტარებისა და რეკომენდაციებისთვის დაეგზავნა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, სახალხო დამცველის აპარატს, ამერიკის საელჩოს და საბჭოში ჩართულ სხვა წევრებს. მათი რეკომენდაციები და კომენტარები აისახა სამოქმედო გეგმის პროექტში.

სამოქმედო გეგმა შემუშავდა „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილების შესაბამისად. შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროპული კომისია, ევროპის საბჭოს ტრეფიკინგთან ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი (GRETA), ეუთო, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი), გაეროს სპეციალური მომხსენებლების (ბავშვთა ვაჭრობის, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებელი და სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ), ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები. შემუშავების პროცესში, ასევე, გათვალისწინებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტები.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა ქართულ და ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ. გვერდზე <https://www.justice.gov.ge/Ministry/Department/334>.